გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 43

2024 წლის 11 მარტი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის (ს/კ 418471031) 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის (ს/კ 418471031) 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის (ს/კ 418471031) 2023 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 36 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის

სააგენტოს ანგარიში

2023 წლის 03 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანიბის შესახებ

2023 წლის ივნისის თვეში ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს გამოეყო ტურიზმის განვითარების განყოფილება და სააგენტო მუშაობას აგრძელებს შეცვლილი სახელწოდებით ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო, რომლის დაქვემდებარებაშია კულტურის განვითარების ხელშეწყობის განყოფილება, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების ანყოფილება; მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის განყოფილება. ღნიშნული განყოფილებები თავისმხრივ აერთიანებენ სტრუქტურელ ერთეულებს.

სააგენტოს ინიციატივითა და დამტკიცებული წლიური გეგმის გათვალისწინებით, 2023 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით არაერთი ღონისძიება და პროექტი განხორციელდა , როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ-შემოქმედებითი მიმართულებით.

ანგარიში შედგება თითოეული განყოფილების სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისად.

<u>ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება</u>

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილებამ განახორციელა ღონისძიებები როგორც ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული და გორის მერიასთან შეთანხმებული წლიური ღონისძიების გეგმით გაწერილი საქმიანობების შესაბამისად, ისე დამატებითი პროექტებისა და ინიციატივების გათვალისწინებით.

1. **„საშობაო ქალაქი“**

3-4-5 იანვარს ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების ორგანიზებით საახალწლო წარმოდგენა გაიმართა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, დევნილი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები 1800 - მდე ბავშვისათვის. წარმოდგენამ

სახელწოდდებით „საშობაო ქალაქი“ პატარა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ყველა მათგანს გადაეცა საახალწლო საჩუქარი.

2. საახალწლო კონცერტები

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ცენტრალურ მოედანზე გაიმართა კონცერტები ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების შემოქმედებითი და სახელოვნებო წრეების , ანსამბლი“გორი“-ს ბენდ “soft wave” და ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.

3. დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა ციკლი

ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოსწავლე ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლება ცოდნის მიღებისა და გაღრმავების გზაზე. ამ მიზნით კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილებამ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, რომელთა შორის აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი კვირეული. ეს ჩვენი ტრადიციული პროექტია, რომელიც მოსწავლეთა შორის ინტერესს არ კარგავს და მასობრიობით გამოირჩევა. მასში გორისა და გორის რაიონის საჯარო და კერძო სკოლის 300 - მდე უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა. 8 – 28 თებერვალის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება, კერძოდ, საჯარო ლექცია, რომელსაც გაუძღვნენ ისტორიის პედაგოგი და არქეოლოგიის დოქტორი ქალბატონი ლელა კაკაშვილი და განათლების სამინისტროს ექსპერტი, თბილისის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ნიკა გურგენიძე. გაიმართა ისტორიის კონკურსის ორი ტური და თემატური ნახატების გამოფენა-კონკურსი. კვირეული დასრულდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით და გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების საზეიმო დაჯილდოებით, რომელთაც გადაეცათ სააგენტოს სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

4. ლექცია „მავნე ჩვევები და ჯანსაღი ცხოვრება”

კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილება მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა თემაზე საჯარო ლექციებს მთელი წლის მანძილზე ახორციელებს. ერთ-ერთი ლექცია ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას მიეძღვნა. 13 თებერვალს გაიმართა დისკუსია თემაზე ,,მავნე ჩვევები და ჯანსაღი ცხოვრება''. შეხვედრაზე ისაუბრეს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე და მავნე ჩვევების დაძლევის გზებზე. შეხვედრას საჯარო და კერძო სკოლების VIII, IX და X კლესის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

პრეზენტაციები წარმოადგინეს ფსიქოლოგმა ლაშა ჯაშაშვილმა, პირველი საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგმა დავით ტეტუნაშვილმა, ფერისცვალების ტაძრის წინამძღვარმა მამა ბასილმა, ბიოლოგიის პედაგოგმა, მასწავლებელთა სახლის ექსპერტ კონსულტანტმა ნინო ფსუტურმა და სოციალურმა მუშაკმა, მანდატურის სამსახურის სპეციალისტმა ნონა ბორცვაძემ.

5. დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

დედის და ქალთა დღის აღსანიშნავად 7 მარტს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების დიდ საკონცერტო დარბაზში ლაშა ღლონტის კონცერტი გაიმართა.

6. „გაზაფხული შემოსულა, ლენ“

31 მარტს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების მცირე დარბაზში გაიმართა ღონისძიება „გაზაფხული შემოსულა, ლენ“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ განყოფილებაში არსებული გორის რაიონის სოფელ შინდისის, ბეთლემის, კარალეთის, ქვახვრელის, ტინისხიდის, ატენის, ნიქოზის და ქიწნისის საკლუბო წრეების მოსწავლეები.

7. საქველმოქმედო კონცერტი

10-11-12 მარტს გორის ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი გიორგი კუზიბაბაშვილის დასახმარებლად, სადაც მონაწილეობდნენ გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, ანსამბლი „გორი“ , საესტრადო სიმღერებისა და თანამედროვე ცეკვების შემსრულებლები.

8. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

21 მარტს კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილებამ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრთან ერთად აღნიშნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე ღონისძიებით „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. მოეწყო ფოტო სესია და განყოფილებასთან არსებული თოჯინების თეატრის სპექტაკლის „წითელქუდას“ ჩვენება. ცენტრის ბენეფიციარ ბავშვებს საჩუქრები და ტკბილეული გადაეცათ, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში არსებული საგანმანათლებლო წრეების მოსწავლეებისთვის კი გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.

9. შეხვედრა ფსიქოლოგთან

11 აპრილს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრმა ფსიქოლოგს, თამარ შეწირულს უმასპინძლა. შხვედრაზე მოზარდები გარდატეხის ასაკთან, დეპრესიასთან და ბავშვებზე ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნენ.

10. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა ციკლი

ქართული ენის დაცვა და მოფრთხილება თითოეული ჩვენთაგანის უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების ორგანიზებით განხორციელებული ღონისძიებების ციკლი. ეს გახლავთ მხატვრული კითხვის კონკურსის ორი ტური სამ ასაკობრივ ჯგუფში სწორმეტყველების განვითარება-ჩამოყალიბების მიზნით და ქართული კალიგრაფიის, ხელით წერის კულტურის განვითარების მიზნით - კალიგრაფიის კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში. ორივე კონკურსში მონაწილეობდა გორისა და გორის რაიონის საჯარო და კერძო სკოლის 200-ზე მეტი მოსწავლე. კვირეული დაასრულა ქართული ენისადმი მიძღვნილმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ, რომელშიც გამარჯვებულ მოსწავლეებთან ერთად კონკურსის ჟიურიც მონაწილეობდა. გამარჯვებული მოსწავლეები და მათი პედაგოგები საზეიმოდ დაჯილდოვდნენ სააგენტოს სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

11. კონკურსი „საუკეთესო მოქართულე“

20 აპრილს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა კონკურსი „საუკეთესო მოქართულე,“ რომლის მიზანია მოსწავლე - ახალგაზრდებში

ქართული ენის სიწმინდის დაცვა და მეტყველების კულტურის დონის ამაღლება. კონკურსი ყოველწლიურად ტარდება და მასში გორის მუნიციპალიტეტის სკოლების უფროსკლასელები არიან ჩართულნი. გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. საგანგებოდ მათთვის და მოწვეული სტუმრებისათვის მოეწყო ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კინოჩვენება. კონკურსის წარმატებულმა მონაწილეებმა სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი დაათვალიერეს.

12. დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

დედამიწის დღის აღსანიშნავად ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების მიერ ბუნების დასაცავად სხვადასხვა სახის აქტივობა განხორციელდა:

დასუფთავდა კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიმდებარე ტერიტორია და დაირგო ნერგები. აქციაში „ბუნება და ადამიანი“ გორის საჯარო და კერძო სკოლების 100-მდე მოსწავლემ ჯგუფური მუშაობით შეასრულა პრაქტიკული სამუშაო ფერადი ცარცების გამოყენებით ასფალტზე ხატვის კონკურსის ფარგლებში.

ასევე გაიმართა პოსტერების და ნახატების გამოფენა-კონკურსი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

კონკურსებში მონაწილე მოსწავლეებს სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ამ დღის აღსანიშნავად ცენტრის საგანმანათლებლო წრეებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. დამსწრე საზოგადოებას ნარჩენების თემაზე ესაუბრა პედაგოგი ნათია ოქროპირიძე. შეხვედრის დასასრულს ნაჩვენები იქნა თემატური ფილმი „კაცი, რომელიც ხეებს რგავს“.

13. შეხვედრა ფსიქოლოგთან

25 აპრილს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა მორიგი შეხვედრა ფსიქოლოგთან, რომელშიც მონაწილეობდნენ ცენტრის და საჯარო სკოლების მოსწავლეები. საუბარი შეეხო მოსწავლეთა პრობლემებს და ინტერესებს.

14. ტურისტული სეზონის საზეიმო გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა

11 მაისს ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელები და ასევე ანსამბლი „გორი“ აქტიურად ჩაერთნენ შიდა ქართლში ტურისტული სეზონის საზეიმო გახსნის ღონისძიებაში.

15. „სიყვარული გადაგვარჩენს“

„სიყვარული გადაგვარჩენს“ - ასე ერქვა ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ ორგანიზებული კონკურსების გამარჯვებული მოსწავლეების და შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელების ძალებით 17 მაისს გაიმართა.

16. მუზეუმების საერთაშორისო დღე

ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში

სახელწოდებით „მუზეუმები, მდგრადობა და კეთილდღეობა“, სადაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ განხორციელებული შემეცნებითი აქტივობების შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი ჩვენი განყოფილების შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელთა და ანსამბლი „გორი“-ს მონაწილეობით.

17. სასკოლო თვითშემოქმედებითი ოლიმპიადა

სასკოლო თვითშემოქმედებითი ოლიმპიადა - ყველაზე მასშტაბური პროექტია, რომელშიც ქალაქისა და რაიონის 15 საჯარო და კერძო სკოლის 400 - მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიადის შესარჩევი ტურები 15 მაისიდან 30 მაისამდე გრძელდებოდა. კონკურსი გაიმართა 5 ნომინაციაში: ქართული ხალხური ცეკვა, ქართული ხალხური სიმღერა, საესტრადო სიმღერა, სამეჯლისო-სპორტული ცეკვა და თავისუფალი, ორიგინალური ნომერი. შესარჩევი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით გამოვლინდა სამი გამარჯვებული სკოლა და ,,ჟიურის სიმპათია". ოლიმპიადაში მონაწილე ყველა სკოლას გადაეცა მადლობის სიგელი, ხოლო გამარჯვებულ სკოლებს გადაეცათ სააგენტოს სიგელები და ფასიანი საჩუქრები. ,,სასკოლო თვითშემოქმედებითი" ოლიმპიადა გალა კონცერტით დასრულდა.

18. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩატარდა გრანდიოზული საზეიმო ღონისძიება, სადაც ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა კონცერტი ქალაქის და განყოფილების შემოქმედებითი კოლექტივების ასევე ანსამბლი „გორი“-ს და ბენდ „soft wave”-ისმონაწილეობით.

ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული გორის რაიონის სოფელ ტინისხიდში არსებული სიმღერის წრის მოსწავლეები.

19. ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - კონკურსი

1 ივნისს ჩატარდა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - კონკურსი, რომლის მიზანი მოსწავლეთა შემოქმედებითი და შრომითი უნარების განვითარება და ესთეტიკური გემოვნების ამაღლება იყო. მასში მონაწილებდა გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების უმრავლესობა.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი, ხოლო გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

20. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება წარმატებით მონაწილეობდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებებში. განყოფილების ორგანიზებით გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით.

ღონისძიებაში მონაწილებდნენ აგრეთვე სოფელ შინდისის, ბერშუეთის და ქვახვრელის საკლუბო წრეების მოსწავლეები.

21. თოჯინების თეატრის სპექტაკლი

ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში ნიკო ლომოურისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმებში სოფელ არბოსა და ძევერის პატარა მაყურებლებისათვის გაიმართა თოჯინების თეატრის სპექტაკლი „წითელქუდა“.

22. სამაგიდო თამაშის „ტკბილქართულის“ პრეზენტაცია

2 ივნისს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა სამაგიდო თამაშის „ტკბილქართულის“ პრეზენტაცია და პირველი შეჯიბრი, რომელშიც გორის XII საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

23. მონაწილეობა საქალაქო ღონისძიებაში

1 ივლისს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების შემოქმედებითმა ჯგუფებმა ასევე ანსამბლმა „გორმა“ მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში აღიარებული მწვრთნელის, საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებლის, ქართული სპორტის დამსახურებული მოღვაწის - გურამ პაპიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

24. საზაფხულო სკოლა

3 ივლისიდან 13 ივლისამდე ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებდა საზაფხულო სკოლა. ამ ხნის განმავლობაში თითოეული დღე დატვირთული იყო სახალისო აქტივობებით, რომლებიც ემსახურებოდა ბავშვების თვითგამოხატვის, გუნდურობის და ერთმანეთის მხარდაჭერის სწავლებას.

25. მონაწილეობა საქალაქო ღონისძიებაში

6 ივლისს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების მხატვრულ-შემოქმედებითმა კოლექტივებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გორის სპორტის სასახლეში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის მე-13-ე საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნაში.

26. საზაფხულო სკოლის მეორე ეტაპი დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის

20 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა საზაფხულო სკოლის მეორე ეტაპი. პროექტი განხორციელდა იძულებით ადგილნაცვალი და სოციალურად დაუცველი 8- 11 წლის მოსწავლეებისათვის და გაგრძელდა ორი კვირის განმავლობაში. მის ფარგლებში განხორციელდა მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული მრავალი შემეცნებით -გასართობი და სახალისო აქტივობა. საზაფხულო სკოლის დასასრულს, გაიმართა საზეიმო ღონისძიება ბავშვთა გასართობ ცენტრში.

27. „გორის დღე 2023“

კულტურისა და ახალგაზრდობის მთელი განყოფილება მთელი შემადგენლობით ჩაერთო ქალაქ გორის სახალხო დღესასწაულში „გორის დღე 2023“. განყოფილების ორგანიზებით მოეწყო საკონცერტო პროგრამა მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლი „გორი“-ს და ბენდ „soft wave’-ის მონაწილეობით და საბავშვო სივრცე, რომელსაც უამრავი პატარა სტუმრობდა.

28. ინტელექტუალური თამაში „სიტყვის ძალა“

20-26 ოქტომბერს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში „სიტყვის ძალა“ , რომელიც პროექტის „საუკეთესო მოქართულეს“ ფარგლებში ყოველწლიურად იმართება. პროექტი ემსახურება ახალგაზრდების ლექსიკის გამდიდრებას, მოზარდებისათვის ფასეული ქართული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებას.

29. „იაკობობა - 2023“

28 ოქტომბერს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების მხატვრულ-შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელები, ქორეოგრაფიული კოლექტივები,ანსამბლი“გორი“ და ადგილობრივი შემსრულებლები მონაწილეობდნენ საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, „დედა ენის“ ავტორის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 183-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულში „იაკობობა 2023“, რომელიც სოფელ ვარიანში გაიმართა.

30. სამაგიდო თამაში „ტკბილქართული“ საქაშეთის სკოლაში

3 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლაში გაიმართა პროექტ „საუკეთესო მოქართულეს“ სამაგიდო თამაში „ტკბილქართული“, რომელიც ახალგაზრდების მეტყველებაში ბარბარიზმების აღმოსაფხვრელად შეიქმნა. მოსწავლეებისათვის თამაში ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობა

ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი ფუნქციონირებს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების დაქვემდებარებაში. მის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი ბავშვები. მათთვის ცენტრის თანამშრომლები ატარებენ შეხვედრებს სხვადასხვა თემატიკაზე, სემინარებს, კონკურსებს, გასვლით ღონისძიებებს, ფილმების ჩვენებებს, დისკუსიებს და ა. შ. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ცენტრის პროექტი „საზაფხულო სკოლა“ და „საუკეთესო მოქართულე“. ცენტრში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას და პიროვნულ ზრდას.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ გორი“

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ გორი“ ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს. ანსამბლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკუთარი არაჩვეულებრივი შესრულებით არაერთი საქალაქო და განყოფილების ღონისძიება დაუმშვენებიათ, ისეთი, როგორიცაა: ახალი წლის საზეიმო კონცერტი, სოფელ კარალეთში დაღუპულთა მემორიალის გახსნის ცერემონიალი, არაერთი საქველმოქმედო კონცერტი და გამოფენის გახსნის ღონისძიება, ტურისტული სეზონის და საპიკნიკე ადგილის საზეიმო გახსნა ლომჭაბუკის მემორიალთან და უფლისციხეში, გმირთა მემორიალთან 9 აპრილის სკვერში ხსოვნის ღონისძიებაზე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში იტალიის ელჩის

შეხვედრის და იტალიის დღეების საზეიმო გახსნის ღონისძიება, სპორტსასახლეში თავისუფალი სტილის ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირის გახსნა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ქართლის სიმღრების ფესტივალში მონაწილეობა ქალაქ კასპში, „გორის დღე 2023“ - ში გამოსვლა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „მაჩაბელის“ გახსნა და მონაწილეობა, სადაც სიმღერის ანსამბლი „გორი“ დაჯილდოვდა ფესტივალის საპატიო სიგელით, სლოვაკეთის საფეხბურთო კლუბ „დუნაესკა სტრედა“ - სთან შეხვედრა.

ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ფესტივალში განსაკუთრებულად წარმატებული მონაწილეობა მიიღო ანსამბლის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა,სადაც ესპანეთის ქალაქებში: მურსიაში, სეგოვიაში, ბარსელონაში, სერდანიოლასა და რიპოლეტში გამართულ კონცერტებზე გამოკვეთილად წარმატებულად წარადგინეს საკუთარი შემოქმედება და მაყურებელთა დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურეს. ასევე წარმატებული გამოსვლით დაამახსოვრა თავი მაყურებელს სიმღერის ანსამბლმა „გორმა“ საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალსე, რომელიც გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. სიმღერისა და ცეკვის ანსამლ „გორს“ ტელეკომპანია „თრიალეთმა“ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა.

ანსამბლი „გორი“-ს ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ბენდი „soft wave”-ი,რომლის შემოქმედებითი საქმიანობა ძალიან აქტიურია. აქ დასაქმებული ახალგაზრდების ჯგუფი მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა და მონაწილეობს მრავალ საქალაქო ღონისძიებაში.

ცეკვის ანსამბლში, დღეისათვის მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი. გამოცხადებულია კონკურსი ანსამბლის მონაწილეთა შესარჩევად. კონკურსანტები გაივლიან ერთთვიან მასტერკლასს, რომლის დასრულების შემდეგ კონკურსის წესით შეირჩევიან მოცეკვავეები.

შეიქმნა და ჩამოყალიბების პროცესშია ბიჭუნათა გუნდი. ფუნქციონირებს ბენდი „SOFT WAVE”, რომელიც ასევე ჩართული იყო ისეთ საქალაქო ღონისძიებებში, როგორიცაა საქველმოქმედო საქალაქო კონცერტები, 26 მაისისა და „გორის დღეები 2023“ -ის საზეიმო ღონისძიებები.

თოჯინების თეატრი

კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თოჯინების თეატრის ფუნქციონირებას, რომლის სპექტაკლები „წითელქუდა“, „სამი გოჭი“ და „ბატის ჭუკი“ დიდი მოწონებით სარგებლობს მოსწავლეთა შორის. აღნიშნულმა თეატრმა თოჯინური სპექტაკლები გამართა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, საქალაქო თუ განყოფილების ღონისძიებების ფარგლებში, ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მოსწავლეებისათვის, ნიკო ლომოურისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმებში. აქტიურად იყო ჩართული საზაფხულო სკოლის პროექტში და „გორის დღეების“ საბავშვო სივრეში.

საგანმანათლებლო და შემოქმედებითი წრეობრივი მუშაობა

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების სასწავლო პროგრამებში მიმდინარე წელს 170 - მდე მოზარდია ჩართული. განყოფილებაში არაფორმალური განათლების 13 წრე ფუნქციონირებს, ხოლო

გორის მუნიციპალიტეტის სოფელებში: ფლავი, ბერშუეთი, ტინისხიდი, ატენი, კარალეთი, ბეთლემი, ქვახვრელი და ქიწნისი აქტიურად მუშაობენ როგორც საგნობრივი, ასევე შემოქმედებითი წრეები.

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების წრეებში სწავლა უფასოა და უპირატესობა ენიჭებათ სოციალურად დაუცველ, დევნილ,მრავალშვილიან და სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებს.

განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს მოსწავლეთა შორის უცხო ენების, კერძოდ, ინგლისურის და რუსული ენების წრეები.

ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო წრეები

№	წრის დასახელება	პედაგოგი	მოსწავ ლეთა რაოდენ ობა
1	ქართული ენა და ლიტერატურა	ინგა ქუმსიაშვილი	7
2	ინგლისური ენა	ნინო ტერაშვილი	39
3	რუსული ენა	ე. გამგებელი	17

ფუნქციონირებადი შემოქმედებითი წრეები

№	წრის დასახელება	პედაგოგი	მოსწავ ლეთა რაოდენ ობა
1	ქართული ხალხური ცეკვის	ზურაბ ბერიძე	13
2	ქართული ხალხური ცეკვის	ანზორ კუპრაძე	13
3	ვოკალის	ქეთევან ქუმსიაშვილი	8
4	ვოკალურ-ქორეოგრაფიული წრე „ფანტაზია“	ნანა პავლიაშვილი	17
5	გიტარის შემსწავლელი	თამარ გიუნაშვილი	8
6	დოლების და ტამტამების	გოჩა ჯანეზაშვილი	8
7	ხალხური საკრავები	ვანო ზუბიაშვილი	9
8	სამეჯლისო-სპორტული ცეკვების	ია თავაძე	20
9	აკორდეონის შემსწავლელი	გიორგი ახალკაცი	4
10	თეატრალური წრე	ანზორ გვაძაბია	8

სასწავლო პროცესის პარალელურად წრეების აღსაზრდელები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, კონკურსებში, ღონისძიებებში, პერიოდულად ეწყობა ღია, სააგარიშო და შემაჯამებელი გაკვეთილები, ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურული, არაფორმალური განათლების პროექტები, აქტივობები და კონკურსები.

- *სამეჯლისო - სპორტული ცეკვების წრე - პედაგოგი ია თავაძე*

  წრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს საქალაქო თუ განყოფილების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო ფესტივალებზე, როგორიცაა: კაბადოკიის ქალაქ ავანოსში გამართული ფესტივალი „ავანოსი“, რომელზეც მიიღეს სპეციალური პრიზი ცეკვა „პასადობლის“ საუკეთესო შესრულებისათვის; “Art – Dance”-ს ჩემპიონატი, სადაც წრის აღსაზრდელებმა I ადგილი დაიკავეს; რესპუბლიკური დონის ჩემპიონატი“თელას თასი“ – I და II ადგილები; წარმატებული გამოსვლები ფესტივალებზე: „ბროლის ცერი“ და „ჰარირა“. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ივნისის თვეში ჩატარებულ წრის საანგარიშო კონცერტს. სამეჯლისო - სპორტული ცეკვების წრის ბაზაზე ჩატარდა განყოფილების მიერ ორგანიზებული ღონისძიება მუნიციპალიტეტის ბავშვებისათვის „საახალწლო ზღაპარი“.

- *გიტარის შემსწავლელი წრე - პედაგოგი თამარ გიუნაშვილი*

  წრე აქტიურად მონაწილეობს განყოფილების და საქალაქო ღონისძიებებში, კერძოდ, სოლომონ ხუციშვილის სახელობის გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართულ პოეტ ამბრო ქვემოხეველის საღამოზე, მწერალ ბესიკ კაიშაურის წიგნის პრეზენტაციაზე და სხვა.

  მიმდინარე წლის 20 მარტს წრის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისში გამართულ ფესტივალში „ნიჭიერი კლსიკოსები“, სადაც მოსწავლეებს გადაეცათ დიპლომები და საჩუქრები; 25 მაიისს ჩატარდა წრის საანგარიშო კონცერტი, მიღწეული შედეგით ყველა კმაყოფილი დარჩა; 15 ოქტომბერს გიტარის შემსწავლელმა წრემ მონაწილეობა მიიღო ქალაქ რუსთავში გამართულ „კლასიკური გიტარის“ ფესტივალზე.

- *ქართული ხალხური ცეკვის წრე - პედაგოგი ზურაბ ბერიძე*

ქართული ხალხური ცეკვის წრე და ანსამბლი „გორის ციხე“ გამოირჩევა საქალაქო და განყოფილების მიერ ორგანიზაბულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით, როგორებიცაა: მუზეუმისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქველმოქმედო კონცერტი „ყველანი გიორგისთვის“, ხურვალეთის პანსიონატის ხანდაზმული ბენეფიციარებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასა და „გორის დღე - 2023“ ფარგლებში გამართულ მხატვრულ პროგრამებში.

ქართული ხალხური ცეკვის წრე წარმატებულად მონაწილეობდა რესპუბლიკური დონის ღონისძიებებსა და საერთაშორისო ფესტივალებში, კერძოდ, ბორჯომში ფესტივალი „ზამთრის ჰანგები“, ქალაქ თბილისში გამართული ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, მარტვილის მუნიციპალური ქორეოგრაფიული ფესტივალი „ ჭყონდიდი 2023“, თელავის არტ-კლუბის ფესტივალი, ლეჩხუმის ფესტივალი „ხომლი“, ქალაქ თბილისის ქორეოგრაფიული ანსამბლების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი, საქართველოს საპატრიარქოს კონცერტი სამების საკათედრო ტაძართან არსებულ საგანმანათლებლო ცენტრში, კონცერტები ქალაქ თბილისში ნინოობასთან და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქართული ფოლკლორის განვითარების ასოციაციის კონცერტი ქალაქ თბილისში.

- *ქართული ხალხური საკრავების წრე - პედაგოგი ვანიკო ზუბიაშვილი*

ქართული ხალხური საკრავების და სიმღერის წრისა და ანსამბლ „ქართლელებისათვის“ მიმდინარე წელი იყო წარმატებული და კონცერტებით დატვირთული. წრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით გამართულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში, რომლებზეც ანსამბლი მაყურებლის წინაშე წარმატებით წარსდგა.

მარტში ქალაქ თბილისში ჩატარებულ ფესტივალში „სოლიდარობა უკრაინას“ ანსამბლ „ქართლელებს“ გადაეცა დიპლომი საუკეთესო შესრულებისათვის, ხოლო ყველა ბავშვი დაჯილდოვდა სიგელით; აპრილის თვეში თბილისის ფესტივალზე „გაზაფხულის ჰანგები“ მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ლაორეატის დიპლომებით; ქალაქ ახალციხეში გამართულ ფესტივალში „ეროვნული საგანძური“ საუკეთესო შესრულებისათვის ანსამბლის ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომები და მედლები, ხოლო გორის ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილე მოსწავლეებს მიენიჭათ ლაორეატის წოდება.

- *ვოკალის წრე და ვოკალურ - ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფანტაზია“ - პედაგოგი ნანა პავლიაშვილი*

ვოკალის წრე და ვოკალურ - ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფანტაზია“ აქტიურადაა ჩართული თითქმის ყველა ღონისძიებაში, რაც ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილებას განუხორციელებია, წარმატებულად მონაწილეობს ასევე საქალაქო ღონისძიებებში, როგორიცაა: საქველმოქმედო კონცერტი „ყველა გიორგისთვის“, პოეზიის საღამო, მუზეუმის საერთაშორისო დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სახალხო ზეიმი „ გორის დღე 2023“, „იაკობობა 2023“, შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, წრის ორგანიზებით გაიმართა საახალწლო ღონისძიება - მუსიკალური ზღაპარი „ერთხელ ახალი წლის ღამეს“, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობებიც მონაწილეობდნენ; ვოკალური წრის წევრები მიწვეულნი იყვნენ საბავშვო გადაცემაში „სტუმრად პიკოსთან“;

2 თებერვალს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილებისა და სააგენტოს ხელშეწყობით ანსამბლი „ფანტაზია“ გაემგზავრა ბორჯომ-ბაკურიანის საბავშვო ფესტივალზე; სასიხარულო იყო ანსამბლისთვის „პერსონა 2023“-ის ჯილდოზე წარდგენა; 6-9 ივნისს ანსამბლი „ფანტაზია“ გაემგზავრა სომხეთის დედაქალაქ ერევანში, სადაც გაიმართა სართაშორისო ფესტივალი -კონკურსი და მისმა წევრებმა საუკეთესო საესტრადო ანსამბლის კატეგორიაში აიღეს ფესტივალის გრან-პრი; წარმატებული გამოდგა ანსამბლის მონაწილეობა 14 ივნისს გამართულ ფესტივალში „საირმე 2023“, მონაწილეებს საპატიო ჯილდო და სიგელები გადაეცათ; 26-30 ივლისს ანსამბლი „ფანტაზია“ წარმატებით მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში „ჰარირა“ - დაიკავეს I ადგილი; ასევე I ადგილი დაიკავეს 31 ოქტომბერს გურჯაანში გამათულ ფესტივალში „ეროვნული საგანძური“.

9 ივლისს ვოკალური წრის და ანსამბლ „ფანტაზიის“ ორგანიზებით ჩატარდა 2 საანგარიშო კონცერტი სახელწოდებით „ფანტაზია და მეგობრები“, რომელიც წაიყვანა ცნობილმა ჟურნალისტმა ბესო ჩუბინიძემ.

- *ვოკალის წრე და საესტრადო ანსამბლი „დილა“ - პედაგოგი ქეთევან ქუმსიაშვილი*

გამოირჩევა საქალაქო ღონისძიებაში და ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების მიერ განხორციელებულ პროექტებში აქტიურობით, მიღებული აქვს მონაწილეობა ყველა ჩატარებულ ღონისძიებაში, სადაც ბავშვებმა აჩვენეს საუკეთესო მომზადების დონე. ეს ღონისძიებებია: დავით აღმაშენებლის ხსენების და ქართული ენის დაცვის დღეები, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეები, „იაკობობა 2023“ და სახალხო დღესასწაული „გორის დღეები 2023“. მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ანსამბლ „დილას“ საანგარიშო კონცერტს, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად ცნობილი მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი და კომპოზიტორი ცირა ბზიშვილიც მონაწილეობდა.

ანსამბლი მონაწილეობდა ჩეხეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც თითქმის ყველა ბავშვი დაჯილდოვდა პრიზებით, ფესტივალის გრან-პრიც არავის დაუთმეს. წარმატებული იყო ანსამბლისთვის საირმეში გამართული ფესტივალიც, სადაც მობაწილეებმა საპრიზო ადგილები და დიპლომები დაიმსახურეს.

ამჟამად ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებაში მიმდინარეობს ინტენსიური მზადება 2024 წლის საახალწლო ღონისძიებებისათვის. დაგეგმილია დიდი საკონცერტო დარბაზის ინტერიერის საახალწლოდ გაფორმება და ზღაპრის „საახალწლო სასწაული საზღაპრეთში“ დადგმა, რომელიც გაიმართება 2024 წლის 3-4-5 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის 1800 ბავშვისათვის.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ფოტო მასალა დაცულია ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებაში.

<u>მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის განყოფილება</u>

ანგარიში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის განყოფილების სამოქმედო გეგმის შესაბამისად და ასახავს წლის განმავლობაში განყოფილების მიერ შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, რომელთა ამოცანებია:

ა) კულტურული მემკვიდრეობის, ხალხური შემოქმედების, ისტორიული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, სამუზეუმო ექსპონატების კვლევა, მოძიება, გამოვლენა, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია.

ბ) სხვადასხვა სახის ღონისძიებების(გამოფენები, ღია კარის დღე, შემეცნებითი შეხვედრები, არქეოლოგიური ექსპედიციები და სხვა) მომზადება და ჩატარება;

გ) გორის მუნიციპალიტეტის დამწყები და გამოჩენილი მწერლების გამოვლენა, შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა; მათი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა ბეჭდური გამოცემებისა და ლიტერატურული შემოქმედებითი საღამოების მოწყობით; ახალგაზრდა შემოქმედებისათვის კონსულტაციების გაწევა.

დ) ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მომზადების, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა.

ე) სხვადასხვა სახის ტურისტული, სახელოვნებო, კულტურული, ლიტერატურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა და საკუთარი რესურსების გამოყენებით მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფა.

ვ) გორის მუნიციპალიტეტის, ასევე სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივად დაგეგმილ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობა.
ზ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ასაკის მოსახლეობისათვის საბიბლიოთეკო მომსახურების მაღალ დონეზე მიწოდება;
თ) საბიბლიოთეკო ექსპონატების (სისტემატიზაცია, ექსპონირება, დაცვა);
ი) მოსწავლე-ახალგაზრდებში წიგნის პოპულარიზაციისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების (შემეცნებითი შეხვედრები, ინტელექტუალური კონკურსები, ლიტერატურული და შემოქმედებითი საღამოები) მომზადება და ჩატარება;
კ) პარტნიურული ურთიერთობის დამყარება სხვამუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან და ორგანიზაციებთან. მონაწილეობის მიღება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, გამოფენებში.

განყოფილების სტრუქტურული ერთეულების რიცხოვნობა შეადგენს 7 ერთეულს.

- გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- გორის მუნიციპალიტეტის საბრძოლო დიდების მუზეუმი;
- ნიკო ლომოურის სახელობის მემორიალური მუზეუმი სოფ. არბოში;
- ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის მემორიალური მუზეუმი სოფელ ძევერაში;
- ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა;
- ახალგაზრდული ბიბლიოთეკა;
- მწერალთა სახლი;

ანგარიში შედგება თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიშებისაგან.

წელიწადში ორჯერ სტუქტურული ერთეულები წარმოადგენენ ანგარიშს/ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ.

- თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ წლიური გეგმების შედგენაში, ამზადებენ განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიშებს.

სერგი მაკალთიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრფიული მუზეუმი

საანგარიშო პერიოდში მუზეუმში სამუშაო გეგმით და გეგმის გარეთ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ძირითადი ფონდი: იამზე ხომასურიძე

მუზეუმის ძირითადი ფონდი შეივსო 43 ერთეული სამუზეუმო მნიშვნელობის ახალი ექსპონატით და 14 ერთეული სამეცნიერო დამხმარე მასალით. რომელზეც შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია და გატარდა ძირითად შემოსულობათა და სამეცნიერო დამხმარე მასალათა საინვენტარო წიგნში. უნდა აღინიშნოს, რომ მასალა მთლიანად შემოწირულია. არც ერთ მათგანში არ გადაგვიხდია თანხა!

- ძირითადი ფონდის ეთნოგრაფიულ ექსპონატებს ჩაუტარდა დარგობრივი ინვენტარიზაცია, დაბინავდა შესაბამის კონტეინერებში, რომლებსაც ასევე დაერთო სათანადო სიები.
- მუზეუმის ფონდსაცავი განიცდის ფართის სიმცირეს, რის გამო, ექსპონატების გარკვეული ნაწილი განთავსებული იყო ეზოში აგებულ ტურისტული სივრცის შენობაში. რადგან სივრცე გაიცა იჯარით, მოხდა სივრციდან მჭედლის და დურგლის იარაღების გამოტანა და სამეცნიერო დამხმარე მასალათა ფონდის ოთახში დაბინავება.

- ეთნოგრაფიის ფონდიდან შეირჩა „ბატონების“ რიტუალთნ დაკავშირებული ექსპონატები, რის საფუძველზეც ტ/კ „იმედი“-ს მიერ მომზადდა სიუჟეტი (თ. კოშორიძე, ი. ხომასურიძე, ე. ილარიშვილი);
- ტექსტილის ფონდიდან შეირჩა 24 ერთეული საეკლესიო ნაქარგობა, რის საფუძველზეც მოეწყო სააღდგომო გამოფენა;
- ფონდის კურატორის მიერ მომზადდა მოხსენება „ საზოგადო მოღვაწე ზაქარია ედილი“, რომელიც წაკითხული იქნა გორის IV საჯარო სკოლის მოწსავლეთა პროექტის „ გორო ქართლის შუაგულო“ სესიაზე;
- მუზეუმის საერთაშრისო დღესთან დაკავშირებით ექსპოზიციისათვის „შიდა ქართლის ბიომრავალფეროვნება“ ფონდიდან შეირჩა 53 ერთეული ჰერბარიუმი, რომლებიც მუზეუმში 1940 წ. არის შემოსული;
- სამხატვრო აკადემიის პროფესორ მაია იზორიასათვის ფონდიდან შეირჩა ალ. თარხნიშვილის სკულპტურული ნამუშევრები. მოხდა მათი ფოტოფიქსაცია შემდგომი კვლევისა და მონოგრაფიის გამოცემისათვის;
- პერიოდულად ხდებოდა ფონდში დაცული ფერწერული ტილოების შედარება ალბომისთვის „მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“, რომლის გამოცემის დიდი იმედი გვაქვს მომავალი წლისათვის.
- ტექსტილის ფონდიდან შეირჩა და ექსპოზიციაზე განთავსდა 10 ერთეული ხევსურული სამოსის აქსესუარი;
- გრძელდება მუშაობა თემაზე „ქალთა ემანსიპაციის საკითხი ედილის შემოქმედებაში“.
- ტექსტილის ფონდიდან შეირჩა 4 ერთეული სარესტავრაციო ექსპონატი, რომელთა აღდგენა საშური საქმეა;
- ფონდის კურატორის მიერ განხორციელდა ხალიჩა-ფარდაგების გაქარვა-ნაფტალინიზაცია.

ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნებისა და საარქივო მასალის ფონდი:

ეკატერინე ილარიშვილი:

- ფონდის კურატორმა კონსულტაცია გაუწია და ს. მაკალათიას საარქივო მასალით მოემსახურა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევართა ჯგუფს(ნ. ქობულაძე, ნ. კალანდაძე, ნ ტაბუცაძე);
- სოფ. კარალეთზე ფონდში დაცული მასლებით ისარგებლა გორის სახ. უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტმა მაკა დოთიაშვილმა;
- კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისთვის(თ. აბულაძე, ი. გოგონაია) ფონდის კურატორის მიერ კვლევისთვის შერჩეული იქნა 6 ერთეული ხელნაწერი წიგნი;
- ფონდში დაცული ხელნაწერი კარაბადინებით ისარგებლა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის პედაგოგმა დავით დუგლაძემ;
- ფონდის კურატორი 11 აპრილს მოხსენებით წარსდგა ნ. ლომოურის სახლ-მუზეუმში გამართულ კალიგრაფიის კონკურსზე;
- ფონდში დაცული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნით“ ისარგებლეს ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზიის მოსწავლეებმა(ქ. გოგიაშილი,მ. ხანიშილი, მ. მჭედლიშილი- „ვეფხისტყაოსნის მაძიებელთა კლუბი“);
- მუზეუმში მოწყობილი საადგომო გამოფენისთვის ფონდიდან შეირჩა 7 ერთეული ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნი;
- 11 მაისს, ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ე.წ. ერეკლეს აბანოში მოწყობილი გამოფენისთვის ფონდიდან შეირჩა 5 ერთეული ძველი ფოტო 2 ესკიზი და სიგელი;
- მუზეუმის საერთაშორისო დღისთვის მოწყობილ გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი გახლდათ ხელნაწერი კარაბადინები;
- ფონდის კურატორი მოხსენებით „ძველი ქართული ხალხური თამაშები და მათი შემკრებნი“ მოხსენებით წარსდგა ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე ალ. ჯავახიშვილს სახლ- მუზეუმში სოფ. ძევერაში;

- ფონდში დაცულ 3 ძველ ფოტოს, 1 გაზეთს („ტფილისის უწყებანი“1828-29წწ) და ხელნაწერ ფსალმუნს რესტავრაცია ჩაუტარდა საქართველოს სამუზეუმო ალიანსის ფინანსური მხარდაჭერით;
- ფონდში დაცული მასალებით ისარგებლა თბილისშ მცხოვრებმა იტალიელმა ანთროპოლოგმა ლაურა მაფიზზოლიმ;
- მიმდინარეობს უკვე დოკუმენტირებული მასალის ახალ კოლოფებში განთავსება-დაბინავება;
- შიდა საფონდო სამუშაოების დროს გამოვლინდა 42 ერთეული ხელნაწერი და ძველი ფოტო, რომლებიც სასწრაფოს საჭიროებენ რესტავრაციას. აღნიშნულის შესახებ მოხსენებით ბარათით ეცნობა კულტურის სააგენტოს;
- ფონდის კურატორი აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროექტის „სახალისო არქეოლოგია“ განხორციელებაში. ასევე, ლექცია საუბრებით ემსახურება დამთვალიერებელს. საანგარიშო პერიოდში ლექცია ჩაუტარა 30 ჯგუფს(700 კაცი);

ძვირფასეულის ფონდი

კურატორი: თინათინ სოსანიძე

- მ/წლის თებერვლის თვეში დასრულდა წინა წლებში ნუმიზმატიკის ექსპოზიციის მოწყობის შედეგად ფონდში დარჩენილი მონეტების და ძვირფასი ლითონის ექსპონატების ინვენტარიზაცია(შედარება ძველ საინვენტარო წიგნებთან,დაზიანების ხარისხის შემოწმება, სათანადო სიებში შეტანა). კერძოდ:
- მონეტა-1270 ერთ
- ქაღალდის ფული, ბონი-427 ერთ
- მულაჟი(მონეტების)-249 ერთ
- ვერცხლის ქამარი-32 ერთ
- აქსესუარი(სხვადასხვა)-200 ერთ
- ჩოხის მასრა(ვერცხლის)-90 ერთ
- საარქივო მასალა-14 ერთ

სულ 2282 ექსპონატი

- მოხდა ძვირფასეულის ფონდში არსებული ექსპონატების გადარჩევა, დახარისხება დარგების მიხედვით, შეფუთვა, სპეც. კონტეინერებში დაბინავება და „ლურჯი ფარის“ მიერ პროექტის ფარგლებში შემენილ ახალ სეიფებში შენახვა-აღრიცხვა ზედმიწევნითი სიების შედგენით;
- ზ/ აღნიშნული ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ ფონდის კურატორმა შეადგინა შესაბამისი დოკუმენტი-დანართი აქტისათვის. საგენტოს მიერ კომისიის შექმნისა და გაწეული მუშაობის ხელახალი გაკონტროლების შემდეგ, ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტი მყისიერად გაფორმდება;
- 2022 წ. ინვენტარიზაციის დროს რესტავრაცია-კონსერვაციისთვის შერჩეული, დაზიანებული 9 ექსპონატი კვლავ სარესტავრაციოა. არსებულ მდგომარეობაში მათი დაყოვნება კი ექსპონატებზე უარყოფითად მოქმედებს. დაზიანების ხარისხი ძლიერდება და საბოლოოდ უკარგავს მათ განსაკუთრებულ ღირსება- დანიშნულებას. მოხსენებითი ბარათი გასულ წელს არის წარდგენილი საგენტოში;
- დასრულდა დარგობრივი№ 5 წიგნის(ქამრები, სარტყლები) შევსება, გადაწერა, განახლება.
- სექტორში ექსპონატების დაცვის გაუმჯობესების მიზნით კურატორის ინიციატივით სამუშაო ოთახში დამონტაჟდა ვიდეოკამერა;
- კურატორის მიერ გამოსაცემად მომზადდა ალბომი „ მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“, რომლისთვისაც ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები-მუზეუმსა და კერძო კოლექციების მფლობელებთან. თ. სოსანიძის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:
  1. ფოტოფიქსაცია
  2. თითოეულ მხატვარზე ინფორმაციის მოძიება და მოკლე ბიოგრაფიის შედგენა
  3. მომზადდა წინასიტყვაობის ტექსტი ალბომისათვის და პრეზენტაციისთვის
  4. კონსულტაცია ხელოვნებათმცოდნე სოლომონ ნადიმაშვილთან-შერჩეული მასალის შეფასება-შემოწმების მიზნით

5. საბოლოოდ შეირჩა 40 მხატვრის მიერ შესრულებული 81 ნამუშევარი. ფაქტობრივად ალბომი მზადაა გამოსაცემად ფინანსების არსებობის შემთხვევაში.

- ❖ ფონდის კურატორი (ამავე დროს მუზეუმის მრჩეველ-კონსულტანტი) კონსულტაციებით და საჭირო მასალებით მოემსახურა 10 დაინტერესებულ პირს(რ. მაღლაკელიძე,მ. კარიჭაშვილი,დ. ბიძინაშვილი,მ. ლალებაშვილი,ნ. ყანჩაველი,კ. ბიძინაშვილი, ნ. აბულაძე, ლ.ჯავახიშვილი, ე. ზაქარიაძე).
- ❖ ღირსეულ გორელთა ფოტოგალერეისათვის კურატორის მიერ შერჩეული იქნა 10 ერთეული ფოტო, რომლის ბეჭდვაც განხორციელდა თბილისში (ფოტოსამყარო).
- ❖ თ. სოსანიძის მიერ მოძიებული და ფონდში ჩაბარებული იქნა სამუზეუმო მნიშვნელობის მასალა(2 ხელნაწერი დოკუმენტი ნ. ჯავახიშვილის პირადი არქივიდან და გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალის 2023 წლის მასალები.
- ❖ თ. სოსანიძე ასევე მუშაობს მოღვაწეთა დარბაზისთვის მონაცემთა მოძიებაზე.
- ❖ სექტორში სისტემატურად მიმდინარეობს შიდა საფონდო და კვლევითი სამუშაოები.

არქეოლოგიის ფონდი:
კურატორი : ზვიად შერაზადიშვილი

- ❖ გაგრძელდა უნომრო არქეოლოგიური მასალის ძირითად და დარგობრივ შემოსულობათა წიგნებთან შედარება-შეჯერება მათი სამუზეუმო ნომრების აღდგენის მიზნით.
- ❖ მიმდინარეობს გუდაბერტყას ნამოსახლარზე 1954-1991 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოების ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაციის გაციფრულება.
- ❖ გამოსაცემად მომზადა „არქეოლოგიური მაცნე“ - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის მე-3 ნომერი.
- ❖ კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით შერჩეული იქნა არქეოლოგიის ფონდში დაცული ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა საბრძოლო იარაღი და სამკაული, ასევე თიხის ჭურჭელი.
- ❖ ტემპერატურის და ტენის საზომი აპარატურის საშუალებით სისტემატურად კონტროლდება ტენიანობის და ტემპერატურის სტაბილურობა არქეოლოგიის საცავებსა და საექსპოზიციო დარბაზებში.
- ❖ 2023 მაისში თსუ-ს ორგანიზებით გაიმართა XIV საერთაშორისო კონფერენცია. წარდგენილი მოხსენება: Wall painting in Kura-Araxes Culture on the territory of South Caucasus: new evidence from Gudabertka Settlement (კედლის მხატვრობა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის დროს: ახალი მასალა გუდაბეტყას ნამოსახლარიდან)
- ❖ ხოვლეს საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია, არქეოლოგი.
- ❖ მუზეუმის არქეოლოგურ გამოფენაზე, მეორე და მესამე დარბაზებში გამოიცვალა ვიტრინების განათებები.
- ❖ მიმდინარეობს არქეოლოგიურ ფონდში ბამბუკის თაროების დამზადება

საექსპოზიციო მიმართულება:

- ❖ საანგარიშო პერიოდში მუზეუმის მუდმივმოქმედი და დროებითი გამოფენები დაათვალიერა - 5202 კაცმა, მათ შორის: ადგილობრივი-4612, უცხოელი-590.

გ ა მ ო ფ ე ნ ე ბ ი :

საანგარიშო პერიოდში მუდმივმოქმედი ექსპოზიციის პარალელურად, მუზეუმის თანამშრომელთა მიერ მომზადდა 8 დროებითი გამოფენა:

1. 21-22 მარტი-დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა „ჩვენ-30 ამბავი“. გამოფენა მოეწყო საქართველოში შვედეთის საელჩოს მხარდაჭერით პროექტ „ ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან“ ფარგლებში;
2. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშრებით-„საეკლესიო წიგნები და ნაქარგობები მუზეუმის ფონდიდან“ აპრილი;
3. 11 მაისი- ტურიზმის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ერეკლეს აბანოში გამოიფინა საქართველოს ეროვნული მუზეუმის რამდენიმე ექსპონატი, მასთან ერთად, მეფე ერეკლეს რამდენიმე საბუთი და ძველი გორის ფოტოები ჩვენი მუზეუმიდან;

4. 18 მაისი- მუზეუმების საერთაშორისო დღე- „შიდა ქართლის ბიომრავალფეროვნება- ჰერბარიუმი მუზეუმიდან“ გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი გახლდათ ხელნაწერი კარაბადინები და საბუნებისმეტყველო შინაარსის წიგნები;
5. ამავე დღეს (18 მაისს) მუზეუმის ეზოში მოეწყო დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის პროექტ „ვიკვლევთ მეწარმეობას“ მონაწილე მოსწავლეთა ყვავილების გამოფენა-გაყიდვა;
6. ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გორის ტურიზმის სამსახურის და ჩვენი მუზეუმის ორგანიზებით ეროვნული მუზეუმის ფერწერის ფონდიდან ჩამოტანილი იქნა ცნობილი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის 8 ფერწერული ნამუშევარი. გამოფენა გაიხსნა 29 სექტემბერს და გაგრძელდა 8 ოქტომბრამდე;
7. სექტემბრის ბოლოს მოეწყო გამოფენა „ ხევსურული სამოსის აქსესუარები მუზეუმიდან“, რომელიც ახლაც გრძელდება;
8. მუზეუმის ძირითადი ფონდის კურატორის მიერ „გორის დღისათვის“ ფერწერის ფონდიდან შეირჩა 15 ნახატი თემაზე ძველი გორი. მათგან 8 ნახატისთვის სააგენტოს თანადგომით დამზადდა ჩარჩო და მინა, თუმცა, კულტურის სამინისტროდან ნებართვის დაგვიანების გამო ვერ მოხერხდა მათი ქალაქის დღესასწაულზე გატანა;
9. დეკემბრის დასაწყისში იგეგმება დროებითი გამოფენის „ სერგი მაკალათიას საექსპედიციო მონაპოვარი“ მოწყობა;

❖ **ჩატარდა 251 ლექცია-საუბარი. აქედან:**

1. **თამარ ქორელი** ინგლისურ და ქართულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 50 ჯგუფს(990 კაცი) და 30 ინდივიდს. სულ 1020 კაცი. მათ შორის ოფიციალურ დელეგაციებს. ის ასევე ჩართული გახლდათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოფენის მოწყობაში. მონაწილეობა მიიღო ფულის დაზოგვის დღესათან დაკავშირებულ ღონისძიებაში, რომელიც განხორციელდა ტინისხიდის საჯარო სკოლის მასწავლებელ მერი ტერუნაშვილის და ნუმიზმატ მაია პატარიძის ჩართულობით.
2. **ნათია ბერუაშვილი** ქართულენოვანი ლექცია საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 43 ჯგუფს(722 კაცი). ასევე ჩართული გახლდათ ყველა სამუზეუმო აქტივობის თუ გამოფენის მოწყობაში(გარდა საგანმანათლებლო პროექტისა) მუშობს წლიურ სამეცნიერო თემაზე.
3. **ეკატერინე ილარიშვილი** ქართულენოვანი ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 30 ჯგუფს(700 კაცი). აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროექტის „სახალისო არქეოლოგია“ განხორციელებაში;
4. **ლიანა ბოჭორაძე** ქართულ და ინგლისურ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა 56 ჯგუფს; აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროექტის „სახალისო არქეოლოგია“ განხორციელებაში; ასევე, მონაწილეობს ყველა სამუზეუმო აქტივობაში;
5. **პაატა ბასიშვილი** ქართულ და რუსულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 35 ჯგუფს(414 კაცი). აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროექტის „სახალისო არქეოლოგია“ განხორციელებაში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ „გის“ ბაზაში პერიოდულად შეაქვს კულტურული მემკვიდრეობის როგორც უძრავი, ისე მოძრავი ძეგლების მონაცემები. ოფიციალურ ფბ გვერდზე პერიოდულად აქვეყნებს ღონისძიებების ამსახველ ფოტოებს და მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალას შესაბამისი ანოტაციებით.
6. **ნატალია ბელენკო** რუსულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 10 ჯგუფს(87 კაცი) და 77 ინდივიდს. აქტიურად არის ჩართული ყველა სამუზეუმი საქმიანობაში. კურირებს სამეურნეო და გასახარჯ მასალათა საწყობს.
7. **თამილა კოშორიძე** მოემსახურა 23 ჯგუფს (411 კაცი)
8. **ზვიად შერაზადიშვილი** მოემსახურა 4 ჯგუფს(74კაცი);
9. მუზეუმის მიერ გამოცხადებულ ღია კარის დღესა და სხვა ღონიძიებებზე გამოფენები დაათვალიერა **1697-მა ინდივიდმა.**
10. **ყველა** ზემოთ ჩამოთვლილი ექსკურსიებისა და ლექცია საუბრების დროს საგამოფენო დარბაზებში შესაბამის გარემოს და წესრიგს უზრუნველყოფს **დარბაზების მეთვალყურე ნანა სადუნაშვილი.** ის ასევე ჩართულია ყველა გამოფენის მოწყობასა და ღონისძიების ორგანიზებაში;

❖ სამწუხაროდ, მუზეუმის ძალებს აღემატება ჯეროვანი პიარკომპანიის წარმოება მუზეუმის ცნობადობის გაზრდის მიზნით. მუზეუმის მეტი პოპულარიზაციის მიზნით სასიცოცხლოდ აუცილებელია ინფოტურის მოწყობა მსხვილი ტუროპერატორებისა და მედიისათვის

სამუზეუმო საბჭო:

- საბჭო შეიკრიბა 9-ჯერ, რომლებზეც განხილული იყო მიმდინარე საკითხები.

ღონისძიებები:

- 22 თებერვლიდან მაისის ჩათვლით IV საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებთან ერთად (ხელ-ი ნინო ტატიაშვილი) განხორციელდა ერთობლივი პროექტი „გორო ქართლის შუაგულო“. მოსწავლეები თვეში ორჯერ სტუმრობდნენ მუზეუმს და თანამშრომელთაგან ისმენდნენ საუბრებს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ჩვენი ქალაქის ისტორიის მათთვის საინტერესო საკითხებზე;
- 10 მარტს მუზეუმმა უმასპინძლა გორის კეთილმოწყობის სააგენტოს დასუფთავების სამსახურის თანამშრომელ ქალბატონებს. ჩატარდა სპეციალური ლექცია და ღონისძიება. გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები;
- 11 აპრილს გაიმართა IV საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ქიმია მუზეუმში“ (პედაგოგი ირმა გოდერძიშვილი);
- 18 მაისი, მუზეუმების საერთაშორისო დღე:
  1. ღია კარის დღე;
  2. გამოფენა-შიდა ქართლის ბიომრავალფეროვნება-ჰერბარიუმები მუზეუმიდან;
  3. პანელური დისკუსია „ახალგაზრდები მუზეუმის მდგრადობისთვის“-აქტივობა საზოგადოებაში მუზეუმის ცნობადობის ამაღლების შესახებ;
  4. სადღესასწაულო კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით;
- 26 მაისი- ღია კარის დღე;
- 31 მაისი- პროფესორ ოთარ ჯანელიძის საჯარო ლექცია თემაზე „ასე იშვა 1918 წლის 26 მაისი“. ლექციამ დამსწრე მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია;
- ორგანიზაცია „ქალი და განვითარება“-ს მიერ(ხელ-ი ფატი ბუხრიკიძე) მუზეუმში მოეწყო ხატვის კონკურსი მოსწავლლეთა შორის „ ვიმეგობროთ მშვიდობისათვის“. მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატები ასევე გამოიფინა მუზეუმის ეზოში 5 ივლისს;
- 27 ივნისს მუზეუმის ეზოში გაიმართა ა(ა)იპ „ჭკვიანი მომავლის“ და გორის მუნიციპალიტეტის კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტის ფესტივალი „კულტურა საზღვრებს გარეშე“(ზურაბ მძინარაშვილი);
- 28 ივნისს მუზეუმში გაიმართა ატელიე „ბამანის“ მიერ შექმნილი სადღესასწაულო კაბების ჩვენება; აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს ადგილობრივ საზოგადოებაში მუზეუმის ცნობადობის გაზრდას!
- მუზეუმის თანამშრომლებმა (ი. ხომასურიძე, მ. უთნელიშვილი. თ. კოშორიძე) მონაწილეობა მიიღეს ICOM საქართველოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ სემინარში, სადაც ოფიციალურად იქნა წარდგენილი მუზეუმის ახალი განმარტების ქართული თარგმანი და მისი გაანალიზება იტალიელი ექსპერტების ლორა ბონიულა მერჩევის და ბრუნო ბრულონის მიერ. ახალი განმარტება განთავსდა მუზეუმის ფბ გვერდზე;
- 11 სექტემბერს მუზეუმის თანამშრომლებმა(მ. უთნელიშვილი, თ. სოსანიძე, ი. ხომასურიძე, ლ. ბოჭორაძე, თ. ზურაბაშვილი, ი. ჩიტუაშვილი) მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუზეუმთა ალიანსის II ასამბლეაზე, თბილისში. ღონისძიების ფარგლებში ფოიეში გამოფენილი გახლდათ მუზეუმის ის წიგნები და ხელნაწერები, რომლებსაც რესტავრაცია ჩაუტარდა ალიანსის და უშუალოდ გიორგი კალანდიას მხარდაჭერით;
- 19 სექტემბერს მუზეუმში შედგა სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის მისიის წარმომადგენელ მაგდალენა კულიკთან, სადაც დაიგეგმა ერთობლივი ღონისძიება კულტურული მემკვიდრეობის შენახვა-გადარჩენის საკითხების შესახებ;
- მუზეუმის ფბ გვერდზე განთავსდა განაცხადი მ/ წლის 2 დეკემბერს მუზეუმში დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციის თაობაზე, რომელიც დაიგეგმა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სოფლების შემსწავლელ სამეცნიერ ცენტრთან და გორის უნივერსიტეტტან ერთად.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა: მარინე უთნელიშვილი

- საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი გამდიდრდა 25 დასახელების წიგნით. წიგნები მიღებულ იქნა საჩუქრად ავტორებისაგან, საზოგადო მოღვაწეებისაგან. აღნიშნული გამოცემები გატარდა საინვენტარო წიგნში და დამუშავდა საბიბლიოთეკო წესით;
- შერჩევითი ინვენტარიზაცია ჩაუტარდა საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიულ და სოფლის მეურნეობის დარგის წიგნებს (800 ერთეული). რის შედეგადაც 1600 ერთეულ წიგნზე შედგა დარგობრივი და ანბანური კატალოგი;
- ბიბლიოთეკარი კონსულტაციით და იშვიათი გამოცემებით სისტემატურად ემსახურაბა როგორც მუზეუმის თანამშრომლებს, ისე გარედან შემოსულ დაინტერესებულ პირებს;
- 22 თებერვალს მ. უთნელიშვილმა IV საჯარო სკოლის მოსწავლეთა პროექტის ფარგლებში წაიკითხა მოხსენება „გორელი პოეტი სტეფანე ფეშანგიშვილი“;
- ბიბლიოთეკიდან სააღდგომო გამოფენისათვის შეირჩა საეკლესიო შინაარსის 9 ერთეული იშვიათი გამოცემა და განთავსდა ექსპოზიციაზე;
- შედგა სარესტავრაციო-საკონსერვაციო წიგნების სია-35 ერთ;
- სისტემატურად მიმდინარეობს მხარის ცნობილ ადამიანებზე და ყველა სამუზეუმო საკითხზე ბიბლიოგრაფიის წარმოება;
- მ. უთნელიშვილმა მოამზადა პუბლიკაცია „საბიბლიოთეკო საქმის ისტორიისათვის გორში“ მწერალთა სახლის ჟურნალისათვის „მწიგნობარი“;
- 18 მაისს, გამოფენისთვის „შიდა ქართლის ბიომრავალფეროვნება“ ბიბლიოთეკაში შეირჩა და ექსპოზიციაზე განთავსდა შესაბამისი შინაარსის 5 წიგნი;
- 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშრებით ალ. ჯავახიშილის სახლ-მუზეუმში მოეწყო გამსვლელი სესია, სადაც მ. უთნელიშვილმა წაიკითხა თემა: „მხატვარი ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი“;
- ახალი კლასიფიკაციით დარგობრივი და ანბანური კატალოგი შედგა 3780 ერთეულ წიგნზე;
- საქართველოს სამუზეუმო ალიანსის ფინანსური მხარდაჭერით რესტავრაცია-კონ სერვაცია ჩაუტარდა ბიბლიოთეკის 16 ერთეულ იშვიათ გამოცემას. რესტავრირებული წიგნები გამოიფინა 2023 წ. 11 სექტემბერს ალიანსის II ასამბლეაზე;
- ბიბლიოთეკარის დიდი სურვილია წიგნადი ფონდი პერიოდულად გამდიდრდეს მუზეუმისთვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით;
- მ. უთნელიშვილი აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტის „სახალისო არქეოლოგია“ განხორციელებაში;
- ბიბლიოთდეკარი ჩართულია მუზეუმში გამართულ ყველა ღონისძიებაში.

სამეურნეო საქმიანობა:

- საანგარიშო პერიოდში დამთვალიერებელთა მომსახურების შედეგად მუზეუმის სალაროში შემოვიდა და ბანკში შეტანილია **5968 (ხუთიათას ცხრაას სამოცდარვა) ლარი.**

აქედან:

1. ადგილობრივი და უცხოელი დამთვალიერებლის მიერ გადახდილი-**4549 ლ**
2. მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროექტი „სახალისო არქეოლოგია“-**1369 ლ.**
3. საფონდო მომსახურება-**50 ლ**

- კულტურის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ეზოში ღია ექსპოზიციისათვის გათვლილი სივრცის ნახევარში აშენდა ფონდსაცავი, საადაც განთავსდა სახელოსნოების შენობაში ოთახში დროებით შენახული არქეოლოგიური მასალა(ზვიად შერაზადიშვილი);

განსახორციელებელი საკითხები

- **ეზოს გარეთ არსებული არქეოლოგიის საცავის, ე/წ. „ბუნკერის“ მოწესრიგება.** ბუნკერში ჩასასვლელი კიბის მარჯვენა უჯრედში ატმოსფერული ნალექების შედეგად იჟონება წყალი, რის გამოც კედელი სისტემატურად სველია, კედელს მოშორდა საღებავის ფენა, გაჩნდა სოკო. კედლის მუდმივი სისველე კი წარმოქმნის მაღალ ტენიანობას, რაც აზიანებს ექსპონატებს. ფონდსაცავის ფართის სიმცირის პირობებში კი , ეს დამატებით პრობლემებს ქმნის.

- **ეზოში არსებული სასწავლო არქეოლოგიური ველის გადახურვის აუცილებლობა.**

- მიმდინარე საგანმანათლებლო პროექტი „სახალისო არქეოლოგია“ სკოლებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. გეოგრაფია ვრცელია- გორი, ქარელი, თბილისი, კასპი, მცხეთა,

დუშეთი, ჟინვალი. წვიმიან ამინდში გვიწევს უარის თქმა პროექტის განხორციელებაზე, ველოდებით მიწის გაშრობას; რის გამოც ფერხდება მოსწავლეთა მიღება და პროექტის მიმდინარეობა;

- **მუზეუმში შემოსასვლელი ბილეთების საკითხის მოგვარება-დიზაინი, ბეჭდვა.**

- **მუზეუმის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გამართ ულად მუშაობისათვის სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებლად იქნეს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:**

1. სამეცნიერო კვლევები;
2. წიგნების ბეჭდვა;
3. ახალი ექსპონატების შეძენა;
4. რესტავრაცია-კონსერვაცია;
5. პოპულარიზაცია/ პიარ კამპანია;
6. თანამშრომელთა გადამზადება-სპეციალისტების მოწვევა წამყვანი მუზეუმებიდან;
7. საერთაშორისო ურთიერთობები- თუნდაც ერთი სასწავლო ვიზიტი უცხოეთის რომელიმე სამუზეუმო ცენტრში;
8. დასაქმებულთა ხელფასების მატება

ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი, ნიკო ლომოურის სახლ მუზეუმი

<u>1. - თებერვალი -</u> ნიკო ლომოურის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მუზეუმში გაიმართა მწერლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
ღონისძიებაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნიკო ლომოურის შემოქმედება და განასახიერეს მწერლის მხატვრული ნაწარმოებებიდან სხვადასხვა პერსონაჟი.
აღნიშნულ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მუზეუმში მოწვეული იყო გორის უნივერსიტეტის ლიტერატურული კაფის წარმომადგენელი,პოეტი ქეთი ჯოლბორდი,რომელმაც ისაუბრა საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობაზე ,სადაც თვითონ ბავშვები საკუთარი ემოციებით და წარმოდგენებით აქტიურად ჩაერთვნენ.

2. - აპრილი - ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ქართული ენის კალიგრაფიის კონკურსი.
კონკურსში მონაწილეობა მიიღო გორის მუნიციპალიტეტის არბოს,დიცის ,მერეთის საჯარო სკოლის მოსწავლეება.
კონკურსის შედეგად გამოვლინდა და დაჯილდოვდა პრიზებით ,,საუკეთესო ნამუშევრისთვის" სამი მოსწავლე.
ასევე სიგელები გადაეცათ კონკურსში მონაწილე ყველა მოსწავლეს.
პროექტის მიზანი იყო ქართული დამწერლობის პოპულარიზაცია და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა.

3. - აპრილი - ქართული ენის კვირეულის ფარგლებში არბოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შემოგვთავაზეს საინტერესო ლექცია ,,დედაენის დღე" - მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

4. - აპრილი ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი.
პროექტი: გავუფრთხილდეთ ჩვენს საგანძურს.
მიზანი: ჩვენი სოფლის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და მოვლა-პატრონობა.

5. - აპრილი - აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი კალიგრაფიის კონკურსი.
კონკურსში მონაწილეობა მიიღო გორის მუნიციპალიტეტის ძევერის საჯარო სკოლის მოსწავლეება.
კონკურსის შედეგად გამოვლინდა და დაჯილდოვდა პრიზებით ,,საუკეთესო ნამუშევრისთვის" სამი მოსწავლე.
სიგელები გადაეცათ კონკურსში მონაწილე ყველა მოსწავლეს.

პროექტის მიზანი იყო ქართული დამწერლობის პოპულარიზაცია და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა.

6) - აპრილი - ნიკო ლომოურის ხსოვნის საღამო არბოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიხსენეს ნიკო ლომოურის შემოქმედება და იმსჯელეს მის ღვაწლზე.

7) მაისი - აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში , გორის მე-8 საჯარო სკოლის ეკოკლუბის მიერ,ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტების და აქტივობების პრეზენტაცია,რომელებიც თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან .

8) მაისი - ძევერის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის სკოლის მე-9,10,11 კლასის მოსწავლეების პრეზენტაცია სხვადასხვა თემებზე.
• „ურბანიზაცია და ქალაქის ეკოლოგიური პრობლემები.
(ქ.გორის მაგალითზე)“
• „კლიმატის ცვლილება“.
• „ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია“
• „ნარჩენების მართვა და მწვანე. არქიტექტურა“.
• „წყლის პრობლემები“.
• „ჯანმრთელობის პრობლემები“.
• „კლიპის ჩვენება და განხილვა“.
• „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევის გამოთვლა“.

9) - მაისი - სსიპ-ნიკოლოზ(ნიკო) კეცხოველის სახელობის ქალაქ გორის N 1 საჯარო სკოლის Xა კლასის მოსწავლეებმა ისტორიის პედაგოგის ხატია მშვიდობაძის ხელმძღვანელობით ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში განახორციელეს პროექტი: ,,26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე"
პროექტის მსვლელობისას მოსწავლეებმა არაერთი აქტივობა განახორციელეს:
*საჯარო ლექცია
*ფოტო/ვიდეო არქივის პრეზენტაცია
*პოსტერების წარდგენა
ინტერაქცია დამსწრე საზოგადოებასთან საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე
*გააცოცხლე ფოტო
*პროექტის ბოლოს, იმიტირებული პროცესი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღება.

10) - ივნისი - ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა გასვლითი სესია ,გორის პროფესორ სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ- ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით.

11) - ივნისი - ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში, გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა თოჯინების თეატრი. სპექტაკლი: ,,წითელქუდა".

12) - ივნისი - ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა თოჯინების თეატრი. სპექტაკლი: ,,წითელქუდა".

13) - ივლისი - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში, გაიმართა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მაჩაბელის“ დახურვის ცერემონია.

14) - ივლისი - სოფელ არბოში, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში, ორგანიზაცია,, ინდიგოს" მიერ ჩატარდა ვორქშოპი.
ვორქშოპი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ჩართულობას, არაფორმლური განათლების ხელშეწყობას.

15) - სექტემბერი - სოფელ არბოში,ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში,ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა გამართა სპექტაკლი : ,,უჩინმაჩინის ქუდი".

16) - ოქტომბერი - ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ არბოს საჯარო სკოლის პირველკლასელები .
პროექტი: ,,ჩემი პირველი შემეცნებითი/სახალისო დღე მუზეუმში".
პატარებს სამახსოვრო საჩუქრებიც გადაეცათ.

17) - ოქტომბერი -ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი,ძევერის საჯარო სკოლის მე-10 კლასმა, კლასის პედაგოგთან ერთად მოინახულეს და გაკვეთილი ჩაატარეს.
უჩვეულო ფორმატი-,,გაკვეთილი მუზეუმში."

18) - ოქტომბერი - აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ ძევერის საჯარო სკოლის პირველკლასელები .
პროექტი: ,,ჩემი პირველი შემეცნებითი/სახალისო დღე მუზეუმში".
პატარებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

19) - ოქტომბერი - ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში ორგანიზაცია ,,ინდიგოს"მიერ ჩატარდა ვორკშოპი, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

<u>საბრძოლო დიდების მუზეუმი</u>

2023 წლის იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით მუზეუმი დაათვალიერა 2076 დამთვალიერებელმა.

წაკითხულ იქნა - 53 ლექცია
ჯგუფი - 24 (480კაცი)
ტურისტი - 811
სტუდენტი - 180
მოსწავლე - 296
ინდივიდი - 1547
უფასო - 631
ფასიანი - 1316

მუზეუმში ამ დროისათვის შემოსულია 15 ექსპონატი, რომლებიც დამუშავებულია და შეტანილი საინვენტარო წიგნებში.

1. 15 თებერვალს ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის 39-ე წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმში გაიმართა მონაწილეებთან შეხვედრა.

2. 7 მაისს მუზეუმში ჩატარდა ტურიზმის სამსახურისა და საბრძოლო დიდების მუზეუმის ერთობლივი პროექტი: „პრაქტიკები სტუდენტებისთვის“, რომლის დროსაც სტუდენტებს მუზეუმის გიდებმა ჩაუტარეს ლექციები.

3. 9 მაისს გაკეთდა დროებითი გამოფენა: “ სამკუთხედი წერილები ფრონტიდან“.

4. 25 მაისს გიდების მიერ ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტი: „პარტიზანები სამამულო ომში“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს მე-9 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეებმა.

5. 26 მაისს მუზეუმს ესტუმრნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების „ცეროდენას“ ბავშვები, რომლებმაც ჩაატარეს სამშობლოსა და გმირებისადმი მიძღვნილი ღონისძიება დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

6. 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მუზეუმში გამოიფინა მოსწავლეების ნახატები.

7. 8 აგვისტოს მუზეუმს ესტუმრნენ შინდისის გმირების ოჯახის წევრები.

8. მუზეუმს რეგულარულად სტუმრობენ გორის მუნიციპალიტეტის და შიდა ქართლის რეგიონების სკოლების მოსწავლეები, ისმენენ ლექციებს, ატარებენ ღია გაკვეთილებს.

<u>მწერალთა სახლი</u>

აქტივობები და ღონისძებები, რომლებიც განხორციელდა მწერალთა სახლში და მწერალთა სახლის ინიციატივით:

1) 9 იანვარი-გორის მწერალთა სახლი იუბილარ მწერალ თამარ ლომსაძესთან შეხვედრა-ღონისძიება, ასევე შედგა ჟურნალ „მწიგნობარის“ ახალი ნომრის წარდგენა.
2) 25 იანვარი-ჩატარდა ჯემალ ინჯიას საიუბილეო საღამო. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მწერალთა სახლის ერთობლივი ღონისძიება.
3) 1 თებერვალი-წიგნის დღესთან დაკავშირებით მწერალთა სახლში შედგა შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან. განვიხილეთ და წავიკითხეთ ახალი წიგნები ახალგაზრდებთან ერთად.
4) 8 თებერვალი-მწერალთა სახლში აღინიშნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე, წავიკითხეთ „გალობანი სინანულისანი“.ასევე მოვიგონეთ დავით გურამიშვილი.
5) 18 თებერვალი-გიორგი მახარობლიძის გახსენება.
6) 21 თებერვალი-მწერალთა სახლში მშობლიური ენის საერთშორისო დღე.
7) 3 მარტი-ქალი და გაზაფხული. მწერალთა სახლში გაიმართა შეხვედრა მწერალ ქალებთან..
8) 17 მარტი-გალაკტიონის ხეივანში გავიხსენეთ დიდი პოეტი მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
9) 28 მარტი-მწერალთა სახლში გაიმართა სალონური საღამო და ახალგაზრდა პოეტ, დანტე დარდიანის პირველი წიგნის განხილვა.
10) 9 აპრილი-ცხრა აპრილის სკვერში პატივი მიეგო დაღუპულ გმირებს.
11) 28 აპრილი-პოეზიის ზეიმი გორში,შეხვედრა პოეტ, ტარიელ ხალხელაურთან.გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მწერალთა სახლის ერთობლივი ღონისძიება.
12) 16 მაისი-დაჯილდოვება საქართველოს მწერალთა კავშირში, სადაც მწერალ მარინა ჯალიაშვილს გადაეცა ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემია.
13) 26 მაისი-შედგა სეხვედრა მწერლებთან „მას საქართველო ჰქვია“. წავიკითხეთ ლექსები საქართველოზე.
14) 1 ივნისი-ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მწერლები ეწვივნენ გალაკტიონის ხეივანს და ცენტრალურ ბიბლიოთეკას. შედგა შეხვედრა ბავსვებთან, მივულოცეთ ბავშვთა დაცვის დღე.
15) 9 ივნისი-ჟურნალ „მწიგნობარის“ და „ხორნაბუჯის“ წარდგენა დედოფლისწყაროში და ორი რეგიონის მწერალთა მეგობრული შეხვედრა.
16) 22 ივნისი- პროექტის დახურვა ,, საუკეთესო ხელნაწერი და ელექტრონული წიგნები“ . ჩატარდა მოსწავლეთა ხელნაწერი და ელექტრონული წიგნების კონკურსში გამარჯვებულთა გრანდიოზული გამოფენა-დაჯილდოვება.
17) 28 ივნისი-შედგა მწერლების და საზოგადოების შეხვედრა ოლია ბრაგვაძესთან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
18) 11 ივლისი-საუბარი მწერალთა სახლის ისტორიაზე (მწერალთა სახლი 45 წლის) და 1958 წლის ჟურნალ „მერანის“ წარდგენა.
19) 14 ივლისი-მწერალთა სახლში აღინიშნა ვაჟა-ფშაველას დღე.

20) 20 ივლისი-მწერალთა სახლის თანამშრომლები ეწვივნენ ხანდაზმულთა სახლს, "შენი თბილი კერა" საჩუქრებით და პოეზიის საღამოთი.
21) 27 ივლისი-დანტე დარდიანის წიგნის წარდგენა გალაკტიონის ხეივანში.
22) 8 აგვისტო-მწერალთა სახლი და მწერლები ეწვივნენ შინდისის გმირების მემორიალთან.(ყვავილებით შემკობა მათი საფლავების).
23) 12 სექტემბერი-შეხვდრა მწერალ,უკრაინული პოეზიის მკვლევართან თამარ გაბოძესთან. (მწერალთა სახლში).
24) 15 სექტემბერი-გორის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრად მწერალთა სახლში.
25) 15 სექტემბერი-მწერლები ეწვივნენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლებს, მიულოცეს მოსწავლეებს სწავლის დაწყება.
26) 10 ოქტომბერი-გორის მწერალთა სახლის პროექტის ფარგლებში კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ცხინვალის ი.მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „უჩინმაჩინის ქუდი".
27) 18- ნოემბერი- გალაქტიონის დტე- კონკურსი მხატვრულ კითხვაში - ,,გალაქტიონის ერთი ლექსი"
28) ნოემბერი - ჟურნალის ,,მწიგნობარის" ბოლო ნომერი.
29) წიგნიერების კვირეული ფარგლებში- გორის მწერალთა სახლის წარმომადგენლები ეწვივნენ საქაშეთის სკოლის მოსწავლეებს. გადასცეს წიგნები.
30) შეხვედრა კულტურის სამინისტროში. მწერალ ვანო ჩხიკვაძესთან, გადაეცა კულტურის საინისტროს ჯილდო იაკობ გოგებასვილის სახელობის ლიტერტურული პრემია.
31) 06 დეკემბერი - შეხვედრა მწერალთა სახლში მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან - პროექტი ,,ჩემი თვალით დანახული ევროკავშირი". გამარჯვებულების დაჯილდოება
32) 08 დეკემბერი - სტუმრად მწერალთა სახლში - შედგა შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან- გაგა გოგსაძე და აბრო ქვემოხეველი.

<u>გორის ცენტრალური ბიბლიოთეკა</u>

გორის ცენტრალური ბიბლიოთეკა მდებარეობს სტალინის ქ. 8-ში. ბიბლიოთეკა მთელი თავისი რესურსით ემსახურება ქალაქისა და რაიონის მოსახლეობას, ქალაქში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებლებს, კოლეჯებს, საჯარო და კერძო სკოლებს, საბიუჯეტო და არასამთავრობო სექტორს. ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა ასაკის და სპეციალობის მკითხველს
ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არის სპეციალური განყოფილება, რომელიც დახმარებას უწევს უსინათლო და სმენადაქვეითებულ ადამიანებს რომელთაც შეუძლიათ ისარგებლონ ბრაილის შრიფტით დაწერილი წიგნებით და ხმოვანი დისკებით.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს:35 652 ეგზ. ეგზ.
საანგარიშო პერიოდში მკითხველზე გაიცა: 9987 წიგნი.
ახალი მკითხველის რაოდენობა: 1977
სულ ბიბლიოთეკით ისარგებლა: 18394 პიროვნებამ.
გაიცა: 45 ბიბლიოგრაფიული ცნობა

ბიბლიოთეკა მკითხველს ემსახურება კომპიუტერული ტექნიკით, აუდიო აპარატურით და სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების მქონე მოსწავლეებზე გათვლილი სათამაშოებით, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში სასარგებლო და საჭირო უნარების განვითარებას. მიმდინარე წელს აღნიშნული ტექნიკით მოხდა-1897 ადამიანის მომსახურება
ბიბლიოთეკის თანამშრომლები ცდილობენ ბიბლიოთეკაში მომსახურება იყოს მულტიმედიური, ნაბეჭდ საშუალებებთან ერთად გამოყენებული იქნას ელექტრული რესურსები. ისეთი, როგორიც შეესაბამება თანამედროვე ბიბლიოთეკების სტანდარტებს.

მოსწავლე-ახალგაზრდებში წიგნის კითხვის პოპულარიზაციის, მკითხველის მოზიდვის, ბიბლიოთეკის ცნობადობის ამაღლების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები და ღონისძიებები:

30 იანვარი ---ლექსანდრე ყაზბეგის დაბადების 175 წლისთავს მიეძღვნა, გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული საჯარო ლექცია, რომელსაც უძღვებოდნენ პროფესორები ნიკოლოზ ოთინაშვილი და ვახტანგ ინაური;

1 თებერვალი ---წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. პოეტ და მსახიობ ნოდარ მდინარიძასთან ერთად, ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები ხმამაღლა წაიკითხეს მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგი ნათია გაბროშვილი. შეხვედრის თითოეულმა მონაწილემ საკუთარი წვლილი შეიტანა წიგნის კითხვის პოპულარიზაციაში.

2 თებერვალი ---ასევე წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს მიეძღვნა მეორე ღონისძიება და პროსპერ მერიმეს ,,მატეო ფალკონე" აირჩიეს წასაკითხად მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგი ლიკა მელთაური. სტუმრებმა თავი წარმოაჩინეს როგორც მხატვრული კითხვის ოსტატებმა.

8 თებერვალი---,,ვერავინ ძუელთა და ახალთა მეფეთა ემსგავსა" დავით აღმაშენებლის 950 წლისთავს მიეძღვნა, საჯარო ლექცია, რომელსაც უძღვებოდა ისტორიკოსი, პროფესორი ვალერი ცერაძე.
9 თებერვალი---ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულმა სივრცემ, ძალიან საინტერესო შეხვედრას უმასპინძლა. სივრცის აქტიურმა მომხმარებლებმა, მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ინგლისურის პედაგოგი მარინა ტერტეროვი, გააკეთეს პრეზენტაცია ამერიკის პრეზიდენტების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ ედუარდ და დანა რაუფები.

10 თებერვალი---გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში ფუნქციონირება დაიწყო, ინგლისური ენის შემსწავლელმა კლუბმა, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. კლუბს უძღვებოდა პედაგოგი ფლექსის პროგრამის კურსდამთავრებული მარიამ ჩოხელი

16 თებერვალი---ქართულ ზეპირსიტყვიერება, კერძოდ საგმირო პოეზია იყო ღონისძიების თემა, რომელშიც მონაწილეობდა ზაზა ბირთველიშვილის სახელობის მე-7 საჯარო სკოლის ლიტერატურული კლუბი ,,საშლელები", ხელმძღვანელი ნათია გაბროშვილი.კლუბის წევრებმა წაიკითხეს და განიხილეს ქართული ფოლკლორის ის ნიმუშები, რომლებიც გმირებს და მათ საგმირო საქმეებს ეძღვნება.

22 თებერვალი----გაიმართა საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია თემაზე: 1921 წლის რუსეთის-საქართველოს თებერვლის ომი. ლექციას უძღვებოდა, სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის სამხედრო ისტორიის ლექტორი, ისტორიის მეცნიებათა დოქტორი გიორგი ბერიძე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ I, III და XI საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ლელა ზერეკიძე და ლიკა მელთაური.

27 თებერვალი----ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეს სტუმრად ეწვია ამერიკის საელჩოს პრეს-ატაშე ჯონ ფერი,რომელმაც ჩვენს სტუდენტებთან წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა აფრო-ამერიკულთა მოძრაობას ა.შ.შ-ში. პრეზენტაცია საინტერესოდ წარიმართა და გაგრძელდა დიალოგით.

1 მარტი--ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში, მოეწყო ფილმის ,,ხიდი ტერაბიტიაში,, ჩვენება -განხილვა

2 მარტი---დედის დღეს მიეძღვნა, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ VI საჯარო სკოლის IV-ბ კლასის მოსწავლეები პედაგოგი თათია ლევანიშვილი, მუსიკის პედაგოგი მაია გოგოლაძე.

9 მარტი---ქალთა დღეს მიეძღვნა ფილმის ,,ნატვრის ხე''-ს ჩვენება-განხილვა ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სკოლა ,,თამარიონის'' მოსწავლეებმა.

21 მარტი---პოეზიის საერთაშორისო დღე აღინიშნა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ XI საჯარო სკოლის უფროსკლასელები. პედაგოგი ლიკა მელთაური. წაკითხული და განხილული იქნა ქართველი კლასიკოსი და თანამედროვე პოეტების შემოქმედება.

22 მარტი---დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ფსიქოლოგი ეკა ჯაფიაშვილი. აქტივობაში მონაწილეოდნენ სკოლა ,,თამარიონი''-ს და VIII საჯარო სკოლის მოსწავლეები.
30 მარტი---გბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეს სტუმრა, ამერიკელი დიპლომატი გარი სმიტი, რომელმაც ძალიან საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა ჰავაის ისტორიის, კულტურისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.

2 აპრილი--საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მწერალი ვასილ გულეური შეხვდა V საჯარო სკოლის IV კლასელებს, კლასის ხელმძღვანელი, ნატალია შოშიაშვილი. ბავშვებმა წარმოადგინეს მწერლის შემოქმედება, შემდეგ ღონისძიება კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა

14 აპრილი--დედა ენის დღეს მიეძღვნა მეცნიერებათა სკოლის II-ბ კლასის მოსწავლეების,ხელმძღვანელი თეონა ქაჯაია, ბიბლიოთეკარი ნატალია ნოზაძე, სტუმრობა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.პატარებმა დედა ენასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობები წარმოადგინეს,

21 აპრილი---,დედამიწის" დღისადმი მიძღვნილ აქტივობაში მონაწილეობდნენ მეცნიერებათა სკოლის III-ბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი გვანცა პაპიტაშვილი, ბუნების პედაგოგი ხათუნა მურადელი, ბიბლიოთეკარი ნატალია ნოზაძე. პრეზენტაციის შემდეგ პატარებმა დაამზადეს ხელნაკეთი წიგნები და თემატური ბუკლეტები, რომლებიც დაურიგეს ბიბლიოთეკის მკითხველებს და ქალაქის მოსახლეობას.

24 აპრილი--წიგნის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ IX საჯარო სკოლის IV-ბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ხათუნა მურადელი, ბიბლიოთეკარი ქეთევან კვიწინაძე, მოხალისეები მარიამ პავლიაშვილი, ანა გიორგაძე, ბარბარე კარელიძე. ღონისძიების მონაწილეებმა ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს წიგნის ჩუქების აქციაში. წიგნებით შეავსეს ქალაქის ცენტრში დადგმული წიგნის ბუდე.

30 აპრილი--30 აპრილი ბიბლიოთეკართა დღეა! ამ მნიშვნელოვან დღესთან დაკავშირებით,გაკეთდა ფოტო გამოფენა ,,გორის ბიბლიოთეკების ისტორიიდან";

10 მაისი--ორგანიზაცია ,,Cinedoc“ - თბილისის მიერ წამოწყებული პროექტის ,, Cinedoc მასწავლებელი “ ფარგლებში შედგა ერთობლივი კინოჩვენება გორის N4 და მოხისის საჯარო სკოლის კინოკლუბებს შორის.ფილმი ეხებოდა დაცლილი სოფლების პრობლემებს. ჩვენების შემდეგ შედგა დისკუსია და ჯგუფური მუშაობა.

23 მაისი--,, საქართველოს 26 მაისი “ ასე ეწოდა საჯარო ლექციას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. ლექცია ცენტრალური ბიბლიოთეკის ინიციატივით და მესამე საჯარო სკოლის მხარდაჭერით გაიმართა. შეხვედრას უძღვებოდა და ძალიან საინტერესო ლექცია წაიკითხა მესამე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგმა ლელა ზერეკიძემ. აუდიტორიას დღესასწაული მიულოცა და 26 მაისის მნიშვნელობაზე ისაუბრა მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა, ვახტანგ სუხიტაშვილმა.

31 მაისი --გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შედგა სვენეთის საჯარო სკოლის კინოკლუბ ,,მერკურის"მიერ ორგანიზებული დოკუმენტური ფილმის,,პუნამის ბედისწერას" ჩვენება-განხილვა. ღონისძიების მხარდაჭერი იყო ორგანიზაცია ,, CInedoc"-ი ფილმი ეხებოდა ახალგაზრდა გოგონას თავისუფლებისა და უფლებების შეზღუდვას.ფილმმა დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში. ჩვენების შემდგომ გაიმართა დისკუსია.
1 ივნისი-- ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მრავალი აქტივობა გაიმართა გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. გაიხსნა თავისუფალი სახელოსნოს მოსწავლეების გამოფენა, პედაგოგი ნინო მირიანაშვილი. ბიბლიოთეკას სტუმრობდა და პატარებს თავისი შემოქმედება გააცნეს მწერალთა სახლის მწერლებმა ჯემალ ინჯიამ, მარინე ჯალიაშვილმა, თამარ ლომსაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეები პედაგოგი ზიზო აბესაძე, მე-9 საჯარო სკოლის მეოთხე კლასელები, პედაგოგი თამარ ახალბედაშვილი. მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგი ნინო ქამხაძე.გორის მესამე საჯარო სკოლა.

5 ივნისი--გარემოს დაცვის მსოფლიო დღე აღინიშნა გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მე-10 საჯარო სკოლის ეკო-კლუბმა ,,ეკო-თაობა"-მ, კლუბის წევრები ძალისხმევას არ იშურებენ ქალაქის ეკოლოგიური პრობლემების წარმოჩინებასა და გადაჭრაში, აგრეთვე ნარჩენების მართვასა და მეორად გამოყენებაში.

7 ივნისი--ბიბლიოთეკის მკითხველთა შეხვედრა ბესტსელერი წიგნის ავტორთან თათული ღვინიანიძესთან,ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ გააქარწყლა სკეპტიკოსების აზრი,რომ თანამედროვე ახალგაზრდები არ კითხულობენ წიგნებს

15 ივნისი--გორის ცენტრალური ბიბლიოთეკაში ჩატარდა საჯარო ლექცია, რომელსაც უძღვებოდა აინ რენდის ცენტრის საქართველოს თანადამფუძნებელი დავით როგავა. ლექციის თემა იყო "ფილოსოფია: ვის სჭირდება ის?"

20 ივნისი-- ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდა მე-8 საჯარო სკოლა, რომელმაც პროექტის ,,საგანმანათლებლო ბაღის" ფარგლებში მოაწყო ფილმის, ,, ადამიანი, რომელიც, ხეებს რგავს", ჩვენება-განხილვა. ფილმში ნაჩვენებია, თუ როგორ ცვლის ერთი ადამიანის ღვაწლი გარემოს თავის ირგვლივ. პროექტის ხელმძღვანელია, 2023 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პრეტენდენტი, ნინო ფსუტური.

14 ივლისი--მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი სამსახურის ონლაინ შეხვედრა გორის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან თემაზე, ,,იცნობდე შენს უფლებებს კომუნიკაციების სფეროში."

21 სექტემბერი--საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ინიციატივით და გორის ცენტრალურიბიბლიოთეკის მხარდაჭერით, გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. ღონისძიებაზე სტუმრებს თავისი შემოქმედებით წარუდგა ახალგაზრდა პოეტური წყვილი მარი ბერუაშვილი და აბრო ქვემოხეველი. საღამოს გარდა გორელი საზოგადოებისა, ესწრებოდნენ სტუმრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

29 სექტემბერი--ძალიან საინტერესო და სახალისო აქტივობა განახორციელეს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში VII საჯარო სკოლის IVგ კლასელებმა, კლასის ხელმძღვანელი თამარ ზეინკლიშვილი. მოსწავლეებმა დახატეს და წარმოადგინეს საყვარელი ნაწარმოების ერთი ეპიზოდი. ისაუბრეს ზაფხულში წაკითხულ ლიტერატურაზე. დაათვალიერეს და გაეცვნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკას. შეხვედრის დასასრულს თითოეულ მოსწავლეს გადაეცა სერთიფიკატი.

30 სექტემბერი-- საქართველოს ასოციაცია ,,EPAG,, ის წევრების მიერ გაიმართა ინტერაქციული პრეზენტაცია,რომელიც ეხებოდა ნაფიც მსაჯულთა სასართლო სისტემისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. შეხვედრას უძღვებოდაEPAG წარმომადგენელი ინგა ბერიძე.

12 ოქტომბერი--შემეცნებითი საათი"გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეხვედრაში მონაწილეობდნენ მე-8 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები. ღონისძიებას უძღვებოდა ამერიკის კუთხის კოორდინატორი და მერვე სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი თეა სადაღაშვილი.

14 ოქტომბერი--გორის ცენტრალური ბიბლიოთეკაში ფუნქციონირება დაიწყო ეკო-კლუბმა. პირველ შეხვედრაზე განხილული იქნა კლუბის მუშაობის პერსპექტივები და გადაწყდა, რომ კლუბის საქმიანობა მორგებული იქნება გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანს. ეკო-კლუბის მუშაობაში ჩართულები არიან მე-8 საჯარო სკოლისა და სკოლა ,,თამარიონის,,მოსწავლეები.კლუბს ხელმძღვანელობს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი ნინო ფსუტური.

18 ოქტომბერი--ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში ფუნქციონირება დაიწყო ინგლისური ენის შემსწავლელმა კლუბმა. პროექტი განკუთვნილია პატარებისათვის. კლუბის მუშაობას უძღვებიან სივრცის მოხალისეები -ინგა კობერიძე და მარიამ ალექსიძე;

19 ოქტომბერი--საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ინიციატივით და სოლომონ ხუციშვილის სახელობის გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა პოეზიის საღამო. დამსწრე საზოგადოებას ახალ ლექსები, ჩანაწერები, პროზაულ ნაწარმოებები გააცნეს შიდა ქართლში მოღვაწე მწერლებმა,

შესრულდა მუსიკალური ნომრები. საღამო ჩატარდა ლიტერატურული პროექტის „ქართლის საღამოები" ფარგლებში პროექტი ხორციელდება პოეტ დავით ახლოურის ინიციატივით.

25 ოქტომბერი--გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში საქართველო - ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა შედგა,სადაც განხილული იქნა თანამშრომლობის ისტორია,მიზნები და მომავალი პერსპექტივები.

26 ოქტომბერი--ცენტრალურ ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში,26 ოქტომბერს, გაიმართა ინტელექტუალური კონკურსი ,,All about America,, სადაც მონაწილეობა მიიღო მე-8 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა. მადლობა პედაგოგ თეა სადაღაშვილს თანამშრომლობისთვის.

27 ოქტომბერი--იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს მიეძღვნა გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განხორციელებული აქტივობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მე-3 საჯარო სკოლის მე-2 ა კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი თამარ ახალბედაშვილი.
31 ოქტემბერი--Halloween-ი ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში დიდი მადლობა ჩვენს კრეატიულ და ნიჭიერ პედაგოგს მარინა ტერტეროვს დამე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეებს თანამშრომლობისთვის.

1 ნოემბერი--1 ნოემბერს, საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ინიციატივით და სოლომონ ხუციშვილის სახელობის გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა მწერალ თამარ ბურნაძე- წიწიკაშვილის შემოქმედებითი საღამო. ავტორმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები შესრულდა მუსიკალური ნომრები.საღამო ჩატარდა ლიტერატურული პროექტის „ქართლის საღამოები" ფარგლებში.

3 ნოემბერი--,,ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირი" ასე ერქვა IV საჯარო სკოლის IV კლასელების მიერ განხორციელებულ აქტივობას, კლასის ხელმძღვანელი მაია ქანაშვილი, პატარები გაეცვნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკას, დაათვალიერეს საცავები, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე. დასვეს შეკითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე, შემდეგ ჩაერთვნენ პატარებისათვის განკუთვნილ პროექტში ,,დახატე და ისაუბრე შენს საყვარელ ლიტერატურულ გმირზე" ბიბლიოთეკაში ვიზიტი განხორციელდა მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის ფარგლებში.

10 ნოემბერი--მსოფლიო დაზოგვის დღეს მიეძღვნა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული აქტივობა, ,,დაზოგვის თამაში". შეხვედრას უძღვებოდა მე-11 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი მერი ტერუნაშვილი. აქტივობა გაიმართა, ფინანსური განათლების კვირეულის ფარგლებში.
16 ნოემბერი--,,დაზოგვის თამაში"-ს მეორე და მესამე ტური. გამოვლინდა გამარჯვებული. შეხვედრა გაიმართა ფინანსური განათლების კვირეულის ფარგლებში. მადლობა მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგს, მერი ტერუნაშვილს საინტერესო პროექტისთვის.

17 ნოემბერი-- გალაკტიონის დაბადების დღეა!
"პოეზიის მეფეს" მიეძღვნა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული ,,პოეზიის საათი", რომელიც გორის მე-11 საჯარო სკოლის პედაგოგის ნანა ტიელიძის მიერ იყო ორგანიზებული. შეხვედრაში მოსწავლე-ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ ოთინაშვილი.

20 ნოემბერი--მარიო მონტოიას ფოტო გამოფენა ,,ამერიკა რომელიც არ გინახავს." პრეზენტაცია და დისკუსია.

21 ნოემბერი-- შავი ზღვის რეგიონალური პროგრამის ფარგლებში,ამერიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ვირტუალური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ შავი ზღვის ქვეყნები შეხვედრის თემა იყო: ,,გენდერული ძალადობა". გორის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ შეხვედრაზე დასასწრებად გორის Access-სტუდენტებს უმასპინძლა.

23 ნოემბერი--ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში მადლიერების დღეზე ვუმასპინძლეთ მე-8 სკოლას, მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, დასასრულს გაიმართა ქვიზი.

24 ნოემბერი--ამერიკული დღესასწაული ,,მადლიერების დღე", ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში. მადლობა მე-10 საჯარო სკოლის V ბ, VII ა,VII ბ კლასის მოსწავლეებს, სკოლის დირექტორს ნინო წიკლაურს, პედაგოგებს მარიამ გასიტაშვილსა და გაიანე ინაურს საინტერესო აქტივობისათვის.

ახალგაზრდული ბიბლიოთეკა

მკითხველთა მოზიდვის მიზნით ბიბლიოთეკა სისტემატურად თანამშრომლობს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან. გარდა მკითხველთა წიგნადი ფონდით სარგებლობისა, ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდება ღონისძიებები და სხვადასხვა სახის აქტივობები.

2023 წლის მკითხველთა რაოდენობამ შეადგინა (აბონემენტსა და დარბაზში):
მკითხველი 574
დამსწრეთა რ-ბა 2864
გაცემა 5001

აქტივობები, რომელიც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში:

- 1 თებერვალს ჩატარდა შეხვედრა ნორჩ მკითხველებთან საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით.
- 6 თებერვალს-გამოფენა დავით აღმაშენებლის (650 წელი დაბადებიდან) იუბილესთან დაკავშირებით.
- 2 მარტი - მირზა გელოვანის იუბილისადმი მიძღვნილი აქტივობა ნორჩ მკითხველთა მონაწილეობით.
- 6 მარტი - დედის დღესთან და ქალთა დღესთან დაკავშირებით შეხვედრა მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან.
- 14 მარტი - ლიტერატურული გამოფენა მატემატიკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მათემატიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა მათემატიკით დაინტერესებულ მოსწავლეებთან.
- 3 – 10 აპრილის ჩათვლით მოეწყო მრავალშვილიანი დედის ნინო რიკაძის ხელნაკეთობების გამოფენა.
- 10 აპრილი - ქართული ენის დღესთან დაკავშირებით მე-5 საჯარო სკოლის მე-4 კლასის აქტივობა „ მე მიყვარს კითხვა".
- 12 აპრილი - მე-2 საჯარო სკოლის აქტივობა საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.
- კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა ნიმუშების გამოფენა.
- 21 აპრილი - დედამიწის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის კოლექტივის მიერ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.
- საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით - ბიბლიოთეკარების ხელნაკეთობების და ფოტოსურათების გამოფენა.
- 3 მაისი - მწერალ ვახტანგ ცეცხლაძის წიგნის „ჟამი განკითხვისა" პრეზენტაცია.
- 5 მაისი - მე-7 საჯარო სკოლის 1ა კლასის მოსწავლეთა აქტივობა „პირველი ნაბიჯები ბიბლიოთეკაში".
- 16 მაისი - ბერბუკის საჯარო სკოლის 2-3 კლასების აქტივობა: ლიტერატურული თამაშები, გამოცანები.
- 25 მაისი დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მე-7 საჯარო სკოლის მე-4 კლასის აქტივობა.
- 1 ივნისი - ბავშვთა ნახატების გამოფენა- მკითხველთა ნამუშევრების გამოფენა
- 6 ივნისი- მე -6 ბაღის აღსაზრდელების აქტივობა ბიბლიოთეკაში.
- 8 სექტემბერი- 10 სექტემბერი სუიციდის პრევენციისმ დღესთან დაკავშირებით განხილული იქნა მიშელ ფალკოფის წიგნის" Playlist-ის საიდუმლოს" განხილვა მკითხველებთან ერთად.
- 11 სექტემბერი -დ. კლდიაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით გამოფენა.

- 27 ოქტომბერი- იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით გამოფენა და ბერბუკის საჯარო სკოლის მოსწავლეთა აქტივობა.
- 8 ნოემბერი-ილია ჭავჭავაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით გამოფენა.
- 17 ნოემბერი - გალაქტიონ ტაბიძის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა გამოფენა. ასევე მკითხველებთან მოეწყო პროფესორ ინესა მერაბიშვილის ლექციის ვიდეოჩვენება გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების განყოფილება

<u>ვანო მურადელის სახელობის გორის სამუსიკო სკოლა</u>

ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო, გიტარა, ვიოლინო, ფლეიტა, სოლო სიმღერა და საგუნდო განყოფილებები.

2023-24 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 386 მოსწავლე.

2023 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა II სემესტრის გეგმები.

2023 წ. 26.02- თბილისში ჩატარდა გალა კონცერტ-გფესტივალი „ნიჭიერი კლასიკოსები“. მონაწილეობა მიიღეს გიტარის კლასის მოსწავლეებმა. პედაგოგო თამარ კარიჭაშვილი.

2023 წლის 27 თებერვალს გიტარის კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კლასიკური გიტარის 29-ე სიმპოზიუმში.

2023 წლის 24 მარტს ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“ მონაწილეობა მიიღო საფ-ნო განყოფილების 8 მოსწავლემ . საორკესტრო განყოფილების 4 მოსწავლემ და სკოლის გუნდმა თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

გალა კონცერტზე გასვლის უფლება მოიპოვა ორმა მოსწავლემ მარიამ ნუკრაძემ პედ. ქ. ჯანდიერი და ანა სტეფანაშვილმა პედ. ლ. ბარამიძე. მეოთხე კლასის გიტარისტების ტრიომ

ბექა ლომოურმა, ზურაბ ბოლოთაშვილმა და ზურაბ ხერხეულიძემ. პედ. თამარ კარიჭაშვილი

სკოლის გუნდმა გაიმარჯვა ნომინაციაში „წლის გუნდი“ ხელმძრვ. თეონა ცირამუა.

2023 წლის 23 აპრილს ჩატარდა გალა კონცერტი სადაც მონაწილეობა მიიღო მარიამ ნუკრაძემ, ანა სტეფანიშვილმა სკოლის გუნდმა და გიტარისტთა ტრიომ და გახდნენ

ლაურეატები

2023 წლის 25 აპრილს ჩატარდა ხელოვნების სკოლის გიტარის პედაგოგის ეკა ჯაფარიძის მასტერკლასი. წარმოდგენილი იქნა ქართული საბავშვო პიესები თამარ კარიჭაშვილის მოსწავლეების შესრულებით.

2023 წლის 29 აპრილს ჩატარდა კონკურსი კარნახის საუკეთესო ჩაწერაში . განაწილდა ადგილები და მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.

2023 წლის 27 მაისს ჩატარდა რეგიონების სახელოვნებო სასწავლებლების XII კონკურსი. მონაწილეობა მიიღო 9 მოსწავლემ (საფ. განყოფილება) განაწილდზ ადგილები. სამი პირველი ადგილი სამი მეორე და ორო მესამე. ერთი უმაღლესი მარიამ ნუკრაძე პედ. ქ. ჯანდიერი და მიეცა

გალა კონცერტზე დაკვრის უფლება. საორკესტრო განყოფილებაზე 8 მოსწავლემ მიიღო მიონაწილეობა. პირველი ადგილი აიღო 3 მოსწავბლემ მეორე 2 მოსწავლემ და მესამე ადგილი 2 მოსწავლემ.

2023 წლის 29 მაისს ჩატარდა პირველკლასელების კონცერტი.

2023 წლის 31 მაისს ჩატარდა სკოლის საანგარიშო კონცერტი I სადაც მონაწილეობა მიიღო საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებებმა და სკოლის გუნდმა თ. ცირამუას ხელმძღვანელობით.

2023 წლის 1 ივნისს ჩატარდა სკოლის პირველკლასელ მოსწავლეთა კონცერტი მიძღვნილი ბავშვთა დაცვის დღისადმი.

2023 წლის 2 ივნისს ჩატარდა სკოლის საანგარიშო კონცერტი II. მონაწილეობა მიიღეს საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა და უმცროსკლასელთა გუნდმა ნინო ლობჟანიძის ხელმძღვანელობით.

2023 წლის 7 ივნისს ჩატარდა გიტარისტ ტარიელ იბერის მასტერ კლასი და მინი კონცერტი თამარ კარიჭაშვილის მოსწავლეების მონაწილეობით.

2023 წლის 8 ივნისს ჩატარდა საორკესტრო განყოფილების საანგარიშო კონცერტი.

2023 წლის 12 ივნისს გიტარის კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ ფესტივალზე „ქართული საგიტარო მუსიკა“ და დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

2023 წლის 16 ივნისს ჩატარდა საგნობრივი კომისიის წევრების მოსწავლეტა კონცერტი.

2023 წლის 16 ივნისს ჩატარდა თემატური საღამო ქართულ საბავშვო მუსიკაში. პედ, ნინო ლობჟანიძე.

2023 წლის 17 ივნისს ჩატარდა საქართველოს რეგიონალური სახელოვნებო სასწავლებლების XIIკონკურსის გალა კონცერტი. მონაწილეობა მიიღეს სკოლის მე-3 კლასის მოსწავლემ მარიამ ნუკრაძემ პედაგოგი ქ. ჯანდიერი.

2023 წლის 19 ივნისს პედაგოგ ლამარა ბარამიძის კლასის კონცერტი.

2023 წლის 23-25 ივნისს სკოლის დარბაზში ჩატარდფა კლასიკური გიტარის დღეები ტარიელ სუარის ხელმძღვანელობით.

<u>კ. მეღვინეთუხუცესის სახელობის ხოდისთავის ხელოვნების სკოლა</u>

- ჩატარებულ იქნა საახალწლო კონცერტი და სახვითი ხელოვნების განყოფილების
- მოსწავლეთა გამოფენა. / იანვარი /
- სამუსიკო განყოფილების მოსწავლეთა შიდა სასკოლო შემოწმება კარნახებში /თებერვალი/
- სამუსიკო განყოფილების პედაგოგთა ინდივიდუალური სასკოლო კონცერტების ჩატარება /რეგულარულად /.
- დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი / მარტი /
- სამუსიკო განყოფილების მოსწავლეთა კონკურსი ეტიუდებში /აპრილი /
- დიდი ქართველი კომპოზიტორის,პროფესორ კ. მეღვინეთუხუცესისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო ,,მეღვინეთუხუცესობა“ / აპრილი /

- სკოლის სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლეთა პერიოდული კონცერტები სკოლაში და სკოლის გარეთ. /რეგულარულად /
- სკოლის სახვითი ხელოვნების განყოფილების მოსწავლეთა გამოფენები სხვადასხვა სივრცეში /რეგულარულად /
- 2022-23სასწ.წლის საანგარიშო გალა-კონცერტის ჩატარება და სახვითი ხელოვნების განყოფილების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-ექსპოზიცია /ივნისი /.

<u>სკრის სამუსიკო სკოლა</u>

იანვრის თვეში სკოლაში ირიცხებოდა 81 მოსწავლე. მაისის თვემდე პერიოდში განთესვა არ ყოფილა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 81 მოსწავლეს. გათვალისწინებული გეგმის მიხედვით ჩატარდა :

ჩათვლები და დახურული კონცერტები, აგრეთვე ჩატარდა ღია საახალწლო კონცერტი ჩატარდა სოლფეჯიოსა და კარნახის საუკეთესო ჩაწერაში მეორედან მეექვსე კლასების ჩათვლით, აგრეთვე ჩატარდა კონკურსი აპრილის თვეში ეტიუდების საუკეთესო შესრულებაში მეორედან მეხუთე კლასის ჩათვლით მოსწავლეებში. ყველა ჩატარებული კონცერტი ეწყობა სკოლის კოლექტივის და მშობელთა აქტიური ჩართულობით.

მოსწავლეთა შეფასებები აღინიშნებოდა შემდეგნაირად

პირველი კლასი 6 ქულა 1 მოსწავლე, 7 ქულა 2 მოსწავლე, 8 ქულა 2 მოსწავლე, 9 ქულა 5 მოსწავლე, 10 ქულა 6 მოსწავლე.

მეორე კლასი 6 ქულა 4 მოსწავლე, 7 ქულა 3 მოსწავლე, 8 ქულა 1 მოსწავლე, 9 ქულა 5 მოსწავლე, 10 ქულა 6 მოსწავლე.

მესამე კლასი 6 ქულა 4 მოსწავლე, 7 ქულა 2 მოსწავლე, 8 ქულა 3 მოსწავლე, 9 ქულა 2 მოსწავლე, 10 ქულა 2 მოსწავლე.

მეოთხე კლასი 6 ქულა 7 მოსწავლე, 7 ქულა 0 მოსწავლე, 8 ქულა 3 მოსწავლე, 9 ქულა 0მოსწავლე, 10 ქულა 0 მოსწავლე.

მეხუთე კლასი 6 ქულა 1 მოსწავლე, 7 ქულა 2 მოსწავლე, 8 ქულა 4 მოსწავლე, 9 ქულა 0 მოსწავლე, 10 ქულა 2 მოსწავლე.

მეექვსე კლასი 6 ქულა 1 მოსწავლე, 7 ქულა 1 მოსწავლე, 8 ქულა 0 მოსწავლე, 9 ქულა 3 მოსწავლე, 10 ქულა 4 მოსწავლე.

ივნისის თვეში დამტკიცებული ცხრილის მიხედვით ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები ყველა საგანში, ხოლო მეოთხე კლასში ჩატარდა გამოცდა ფორტეპიანოში. სკოლის დანარჩენ კლასებში ჩატარდა მოსმენები წინასწარ დაგეგმილი განრიგის მიხედვით.

18 ივნისს ჩატარდა ღია საანგარიშო კონცერტი. კონცერტის ჩასატარებლად დაგვჭირდა გორის #1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზით სარგებლობა.

სექტემბერში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა პირველ კლასში 13 მოსწავლეს, მეორეში 7 და მესამეში 3 მოსწავლეს, ხოლო განთესილი მოსწავლეთა რაოდენობა მეორე კლასიდან 1, მესამედან 2, მეოთხედან 1 მეხუთედან 2, მეექვსედან 4 მოსწავლეს შეადგენს. სულ ამ მომენტისათვის ირიცხება 81 მოსწავლე.

სკოლის დირექცია აკეთებს მაქსიმალურს , რომ სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებდეს გამართულად და წესრიგის სრული დაცვით.

ატენის სამუსიკო სკოლა

1.თებერვალში - Iკლასის და VI კლასის მოსმენა;

2. მარტში-დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

3. მარტში-საგაზაფხულო კონცერტი

4. აპრილში-ანსამბლში ჩათვლებიIII-V კლასებში,ბემოლიან გამებში კონკურსი, II-V კლასებში-ჩათვლები,მუს ვიქტორინა მე-4 კლასში;

5. მაისში- ბახის საღამო;

6.ატენის სამუსიკო სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII კონკურსში ,გადავიდა მეორე ტურში და 13 მაისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში იმღერა,სადაც აიღო III ადგილი.

7.მაისში- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი;

8.ივნისში-კლასიდან კლასში გადასაყვანი ჩათვლები,გამოცდები,საანგარიშო კონცერტი;

11.ოქტომბერში-საშემოდგომო ღონისძიება;

12.ნოემბერში-ანსამბლში ჩათვლები III-V კლასებში;ძიეზიან გამებში კონკურსი II-V კლასებში,ჩათვლები ეტიუდებშიII-V კლასებში

ხელთუბნის სამუსიკო სკოლა

იანვრის თვეში სკოლაში ირიცხებოდა 115 მოსწავლე. სექტემბრის თვემდე პერიოდში განთესვა არ ყოფილა. საანგარიშებო პერიოდის ბოლოს მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 115 მოსწავლეს. გათვალისწინებული გეგმის მიხედვით ჩატარდა :

ჩათვლები და დახურული კონცერტები, აგრეთვე ჩატარდა ღია საახალწლო კონცერტი ჩატარდა სოლფეჯიოსა და კარნახის საუკეთესო ჩაწერაში კონკურსი. ღია კონცერტები პედაგოგების კლასების მიხედვით. ყველა ჩატარებული კონცერტი ეწყობა სკოლის კოლექტივის და მშობელთა აქტიური ჩართულობით.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება იყო სანიმუშო.

ივნისის თვეში დამტკიცებული ცხრილის მიხედვით ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები ყველა საგანში, ხოლო მეოთხე კლასში ჩატარდა გამოცდა ფორტეპიანოში. სკოლის დანარჩენ კლასებში ჩატარდა მოსმენები წინასწარ დაგეგმილი განრიგის მიხედვით.

ხელთუბნის სამუსიკო სკოლა განთავსებულია სოფლის ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში.

სექტემბერში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა პირველ კლასში 28 მოსწავლეს, მეორეში კლასში ჩანაცვლდა 4 და მეოთხე კლასში 1 მოსწავლე, ხოლო განთესილი მოსწავლეთა რაოდენობა მეორე კლასიდან 5, მესამედან 8, მეოთხედან 7, მოსწავლეს შეადგენს.რუისის სამუსიკო სკოლიდან 2023 წლის 1 ნოემბერს გადმოვიდა 1 მოსწავლე მე 4 კლასში. სულ ამ მომენტისათვის ირიცხება 115 მოსწავლე.

სკოლის დირექცია აკეთებს მაქსიმალურს , რომ სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებდეს გამართულად და წესრიგის სრული დაცვით.

რაც შეეხება შენობას იგი არის ორსართულიანი. მუსიკლაური სკოლა არის განთავსებული მეორე სართულზე. სკოლას უკავია 8 ოთახი.

ტყვიავის სამუსიკო სკოლა

ტყვიავის სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო განყოფილება და 2023-24 სასწავლო წლის კონტინგენტი განისაზღვრება 62 მოსწავლით.
2023 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა II სემესტრის სამუშაო გეგმა, გადამოწმდა პედაგოგთა საათობრივი დატვირთვები და სამეცადინო ცხრილები. დამტკიცდა მოსწავლეტა ინდივიდუალური გეგმები.
განრიგის მიხედვით ტარდებოდა საგნობრივი კომისიის სხდომები სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ.

- 2023 წლის 2 მარტს ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი სკოლის მოსწავლეთა ძალებით.
- 2023 წლის აპრილის თვეში ჩატარდა მოსწავლეთა შუალედური და ტექნიკური ჩათვლები.
- 2023 წლის მაისის თვეში ჩატარდა კონკურსი ფორტეპიანოში „ეტიუდის საუკეტესო შემსრულებელი“ III- დან VI კლასის ჩატვლით და კონკურსი სოლფეჯიოში „კარნახის საუკეთესო ჩაწერაზე“ IV-VI კლასებში.
- გამარჯვებული და მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.
- 2023 წლის 20 მაისს ჩატარდა I კლასელ მოსწავლეთა მოსმენა-კონცერტი
- 2023 წლის ივნისის თვეში ჩატარდა გადასაყვანი და გამოსასვები გამოცდები.
- 2023 წლის ივნისის თვეში ჩატარდა პედაგოგების ეთერ ჩიხლაძის და მაკა ჯაშასვილის კლასის კონცერტები.
- 20223 წლის 25 ივნისს ჩატარდა საანგარიშო კონცერტი სკოლის საუკეტესო მოსწავლეტა ძალებით.
- 2023 წლის 14 სექტემბერს ჩატარდა მისაღები გამოცდები 2023-24 სასწავლო წლისათვის.
- 2023 წლის ნოემნბრის თვეში ჩატარდა ტექნიკური ჩატვლები II დაV კლასის ჩატვლით.
- 2023 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა პედაგოგ ეთერ ჩიხლაძის ღია გაკვეთილი
- 2023 წლის წლის 25 დეკემბერს ჩატარდება საშობაო კონცერტი მოსწავლეტა ძალებით.

ტირძნისის სამუსიკო სკოლა

ტირძნისის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო VII ეროვნულ საგუნდო კონკურსში და მიღებული ქულების მიხედვით დაიკავა III ადგილი. ასევე ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო გორის კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ ორგანიზებულ კონცერტებში.

ტირძნისის სამუსიკო სკოლამ, ჩაატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. გამოცდები მოსწავლეებმა წარმატებით ჩააბარეს და ყველა მოსწავლე გადაყვანილია შესაბამის კლასში. მოსწავლეებმა ასევე წარმატებით ჩააბარეს გამოსაშვები გამოცდები, შესაბამისად, სამუსიკო სკოლა დაამთავრა 9 მოსწავლემ. ტირძნისის სამუსიკო სკოლამ, 20 ივნისს, საანგარიშო კონცერტით დაასრულა მეორე სემესტრი. მოსწავლეებმა შეასრულეს წლის განმავლობაში შესწავლილი საფორტეპიანო ნაწარმოებები. ასევე, საანგარიშო კონცერტში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსაბლმა, რომელმაც შეასრულა ქართლ-კახური ფოლკლორის ნიმუშები საკუთარი რეპერტუარიდან.

ტირძნისის სამუსიკო სკოლამ 2023 სასწავლო წლის სექტემბრის თვეში ჩატარდა მისაღები გამოცდები და გადანაწილდა პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა და დადგინდა სასწავლო-სამეცადინო ცხრილი. განისაზღვრა წლიური სამუშაო გეგმა ფორტეპიანოსა და თეორიულ საგნებში. ტირძნისის სამუსიკო სკოლას, მოსწავლეების მოტივაციის და სწავლება-სწავლის ხარისხის გაზრდის მიზნით, დაგეგმილი ჰქონდა ეტიუდების კონკურსი, კონკურსი ფურცლიდან კითხვაში, კონკურსი დიეზიანი გამების შესრულებაში და საანგარიშო კონცერტი. მოცემული ღონისძიებები სამუსიკო სკოლამ წარმატებით განახორციელა, დარჩენილია მხოლოდ საანგარიშო კონცერტი, რომელიც დეკემბრის ბოლოს არის დაგეგმილი.

პარალელურად, სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო გორის დღეების აღსანიშნავ ღონისძიებაზე და იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო ღონისძიებაზე ვარიანში.

წლის განმავლობაში დაგეგმილი ყველა პედსაბჭო ჩატარებულია, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. საგამოცდო შედეგები ასახულია შესაბამის დოკუმენტაციაში და პედაგოგები აქტიურად აწარმოებენ საკლასო ჟურნალებს.

აღნიშნულ ღონისძიებებზე ხელისშემშლელი გარემოებები არ ყოფილა. ტირძნისის სამუსიკო სკოლა აგრძელებს მუშაობას და აქტიურად ემზადება 2023-24 სასწ. წლის მეორე სემესტრისათვის.

<u>ანა ფერაძის სახელობის გორის სამხატვრო სკოლა</u>

ბოლო წლებში მოსწავლეთა კონტიგენტმა საგრძნობლათ მოიმატა, რაც იმის მაჩვე-

ნებელია,რომ რეგიონის საზოგადოება კმაყოფილია სწავლების ხარისხით.

სწავლის პროცესთან პარალელურად სკოლის საგამოფენო დარბაზში სისტემატურათ

ეწყობა გამოფენები.

იანვრის თვეში საგამოფენო დარბაზში მოეწყო პედაგოგ ქეთევან ქანაშვილის ნამუ -

შევრების გამოფენა.მის ნახატებში გადმოცემულია ლირიული თემატიკა.დეკორა -

ტიული სტილი შერწყმულია პირობით სიმბოლოებთან.

თებერვლის თვეში მოეწყო პედაგოგ ავთანდილ ღუდუშაურის გამოფენა.მან წარმო -

ადგინა დაზგური ფერწერის ნიმუშები.მარვლად იყო წარმოდგენილი პეიზაჟი და სა -

ხასიათო კომპოზიციები.

მარტის თვეში მოეწყო პედაგოგ სტანისლავ კლდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა

იგი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით - ხატავს აბსტრაქციულ პეიზაჟებს,სურე -

ალისტურ ნახატებს.

2023 წლის 18 მარტს და 9 მაისს ევროკავშირის ფოტოგრაფმა აქსელ კორტენმა

სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარა მასტერ კლასი ფოტოგრაფიაში.

1 ივნისს ბავშვთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით სკოლის

მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ქალაქის მიერ მოწყობილ ღონისძიებაში

(სახე მოუხატეს ღონისძიებაზე მისულ ბავშვებს).

1 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით მოსწავლეებს ჩაუტარდათ საზაფხულო პრაქტიკა

ბუნებაში.მოსწავლეებმა გააკეთეს გორისა და გორის რაიონის (კერძოდ ატენის ხეო -

ბის) ტერიტორიაზე ღირშესანიშნავი ადგილების ჩანახატები,რაც მათ შემდგომში

გამოადგებათ კომპოზიციების შესრულებაში.

18 ივნისს მოხდა დიპლომის დაცვა.მიმდინარე სასწ.წელს მე -6 კლასებს ასწავლიდ-

ნენ თეიმურაზ მეფარიშვილი,ვლადისლავ გაბარაევი და გაბრიელ ველიჯანაშვილი.

საინტერესო იყო მათი მოსწავლეების მიერ შესრულებული სადიპლომო ნამუშევრები.წარმოდგენილი იყო როგორც თემატური კომპოზიციები,ასევე პეიზაჟის ჟანრში შესრულებული ნახატები.ნამუშევრები შესრულებული იყო წყლის საღებავებით,გუაში,აკრილი და გრაფიკულ მასალაში,ნახშირი,გრაფიტი და სხვა შერეული ტექნიკა.წარმოდგენილ ნამუშევრებში იგრძნობოდა მრავალფეროვნება.

2022 -2023 სასწვლო წელს დიპლომი დაიცვა 32 მოსწავლემ.მათ მიეცემათ სკოლის დამთავრების მოწმობა.

მიმდინარე წლის 15 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა საბუთების მიღება 2023 -2024 სასწავლო წლისათვის.მისაღები გამოცდა ჩატარდა მ / წლის 5 სექტემბერს,რის შედეგადაც დაკომპლექტდა კლასები:

I კლ. ჩაირიცხა - 111 მოსწავლე

II კლ. ჩაირიცხა - 13 მოსწავლე

III კლ. ჩაირიცხა - 8 მოსწავლე

IV კლ. ჩაირიცხა - 8 მოსწავლე

V კლ. ჩაირიცხა - 1 მოსწავლე

სასწავლო წლის დასაწყისი ირიცხებოდა 395 მოსწავლე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს პირველი კლასიდან მეექვსე კლასის ჩათვლით უტარებ მასტერ კლასს,რითაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება ჰქონდეთ შეხება ზოგადათ სახვითი ხელოვნების ყველა მიმართულებასთან: ხატვა,ფერწერა,კომპო - ზიცია,ძერწვა,მიუხედავათ იმისა,რომ მასწავლებელს თითოეულ მოსწავლესთან უწევს ინდივიდუალური მუშაობა.

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწელეობა გორის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.(სახე მოუხატეს ღონისძიებაზე მისულ ბავშვებს.)

ოქტომბრის თვეში სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო2022 -2023 სასწავლო წლის და ბოლო წლებში კუსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა.

ყოველთვიურათ საკლასო ოთახებში ეწყობა მოსწავლეების საუკეტესო ნამუშევრების გამოფენა.გარდა შიდა სასკოლო გამოფენებისა სკოლის მოსწავლეები სისტემატიუ - რად იღებბენ მონაწილეობას ქალაქის მიერ მოწყობილ ღობისძიებებში.